

... გამდიდრება ... ორი გზით ხდება: პირველი - სხვების ხარჯზე, მეორე - სხვებთან ერთად ... პირველი გზა ძირითადად აყრდნობა ქალას, მეორე - გონებას.

... უპარსეაქტივოა კერძო უკანონო ინტერესებთან მხოლოდ ქალისთვის მეთოდებით დაპირისპირება.

... კეთილსინდისიერად ცდებიან, როდესაც ფიქრობენ, რომ გაქნისთვის დატალპის ცოდნა, დაგრძობვებთან ან მათ მფარველებთან გავლენიანი კონტაქტები საჭირო შედეგს მოიტანს.



.. ყველა თეორია უპარსიანა, პრაქტიკულად ერთი ადამიანის კი თუ უიმპილიტ მოკლა ან უსამართლოდ გააწაფა.

... რატომ ვაკეთებთ იმას, რას ვერ არ გვარგია, მხოლოდ მოგვალეში გამოგვაფიქვან და არ ვხდით იმას, რას დღესვე აუხილებელი?

- უზრუნველყოფს ... სახელმწიფოსა და კერძო სუბიექტებს უორის ურთიერთანსისგებვლოვის გათანაბრებას;

... გავრკვეთ რა საფუქველს აყრდნობა ასეთი ოპტიმიზმი.

საოცრების ტოლფასი სწორად ისაა, რომ ...

# როგორ გავდიდრდეთ

ცნოე ჩვენი გზა  
ქონთძიქული ქეთილდღეონისაქუნ

0. ჩხაიძე

ედვინება ემირ ჯუღელის სსოვნას

# როგორ გავმდიდრდეთ

*ანუ ჩვენი გზა*

*ეკონომიკური კეთილდღეობისაკენ*

1999 წ.

ნაშრომი გამოსცა სააქციო საზოგადოება - საინვესტიციო კომპანია „ვანო და კომპანია“.

დღეს კომპანიას, რომლის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე არის ნაშრომის ავტორი, საქართველოში მასობრივი პრივატიზაციის პროცესში აქტიური მონაწილეობის შედეგად თანხები დაბანდებული აქვს 700-მდე მსხვილი სააქციო საზოგადოების აქციებში. ამ ფაბრიკა-ქარხნების უმეტესობა გაჩერებულია და გაპარტახების პირას არის მისული.

ეს და ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი სხვა პრობლემები კომპანიის მთავარი სატკივარიცაა. ფაქტობრივად დღეს საქართველოში შესაძლოა არც კი არსებობდეს ამ პრობლემების დაძლევით უფრო დაინტერესებული რომელიმე კერძო ან სახელმწიფო უწყება თუ დამხმარე მისია.

მკითხველის სამსჯავროზე წარმოდგენილია ყველასათვის ცნობილი და დაუძლეველი ძირითადი ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის კონკრეტული მექანიზმები.

დღეს ამ პრობლემებზე ყველა საუბრობს, მაგრამ თუნდაც ერთი პრობლემის გადაწყვეტის რეალისტურ მექანიზმს იშვიათად თუ ვინმე გვთავაზობს.

ამ ნაშრომის ძირითადი, განმასხვავებელი მახასიათებელი ისაა, რომ წიგნში ნახსენებიც კი არაა პრობლემა მისი მოგვარების მექანიზმების გარეშე.

წყობა ასეთია: პრობლემა, მისი გამომწვევი ძირითადი მიზეზები, პრობლემის დაძლევის მცდელობათა ანალიზი, ლოგიკური დასკვნა, პრობლემის დაძლევის უფრო რეალური გზა, ამ გზის განხორციელების კონკრეტული მექანიზმი.

ხელისუფლების მხრიდან გაგების შემთხვევაში თითოეული ჩვენთაგანის კეთილდღეობის ამაღლება საკმაოდ იოლად და მალე იქნება მიღწეული.

## წინასიტყვაობა

დღეს თუ ხვალ, ადრე თუ გვიან, მომავალი თაობისათვის გვექნება ანგარიში ჩასაბარებელი.

ყველაფერი, რაზეც გვექნება საუბარი, ამ პასუხისმგებლობითაცაა გაჯერებული.

გარდა კომპანიის დამფუძნებელთა და პროფესიონალ მეგობართა ფართო წრისა, ნაშრომის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვით აგრეთვე სახელმწიფო კანცელარიას, ფინანსთა, ეკონომიკის და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროებს, რომელთა მიერ ოფიციალურად გამოხატულმა მოსაზრებებმა და აგრეთვე აშშ ელჩთან, ბატონ კენეტ იალოვიცთან, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორებთან, პროფესორებთან მიხეილ ჯიბუტთან და ავთანდილ სილაგაძესთან, ეროვნული ბანკის და რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის რიგ ხელმძღვანელ მუშაკებთან, კვალიფიციურ იურისტებთან, მოქმედი საინვესტიციო ფონდების თავმჯდომარეებთან, მსხვილი სააქციო საზოგადოების ბევრ დირექტორთან, ყოფილი და მოქმედი პარლამენტის დაინტერესებულ წევრებთან საუბრებმა ნათელი გახადა რა საკითხები საჭიროებს უფრო მოთმინებით და დეტალურად განმარტებას, თუმცა კატეგორიული და მწვავე ტონი, მიუხედავად ზოგი მათგანის რჩევისა, ნაწილობრივ მაინც შენარჩუნებული იქნა.

არ შეგვიძლია განსაკუთრებული პატივისცემით და მადლობის გრძნობით არ მოვიხსენიოთ ცნობილი პარლამენტარი, დარგობრივი ეკონომიკის კომისიის თავმჯდომარე და წარმატებული მეწარმე, ბატონი ზურაბ ცქიტიშვილი, კონტროლის პალატის თავმჯდომარე, ბატონი რევაზ შავიშვილი, საბანკო საქმის პროფესიონალები, „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორი, ბატონი ვალერი შარიქაძე, „თიბისი“ ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე, ბატონი გივი ლემონჯავა და „გაერთიანებული ქართული ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილე, ბატონი უშანგი ყურაშვილი, ავტორიტეტული მეწარმე და მეცნიერი,

ბატონი თენგიზ გელეიშვილი. მათ არ დაიზარეს დეტალურად გაცნობოდნენ წარმოდგენილი იდეის ძირითად მექანიზმებს მათი განხორციელების რეალისტურობის თვალსაზრისით და ყოველგვარი, გაუგებარი სიფრთხილისა და ამბიციურობის გარეშე გამოხატეს მხარდაჭერა.

აქ წარმოდგენილი მიდგომისა და კონკრეტული მექანიზმების წინასწარ პოპულარიზაციაში დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს ტელევიზიამ, კერძოდ გადაცემებმა „მსგეფსი“, „ბიზნეს კურიერი“, „მოამბე“, „მესაკუთრე“, „რეტროპერსპექტივა“, ტელეკომპანია „კავკასიას“ გადაცემა „სპექტრმა“, რადიო „თავისუფლებამ“, გაზეთებმა „ბანკები და ფინანსები“, „პრივატიზაციის მაცნე“, „რეზონანსი“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „გაუხმაურებელი ფაქტები“ და სხვა პუბლიკაციებმა, რაზედაც უღრმეს მადლობას მოვასხენებთ საკითხის გაშუქებაში წვლილის შემტან ყველა ჟურნალისტს.

განსაკუთრებით დიდი მადლობის ღირსნი არიან მეგობრები და უბრალო ნაცნობები, რომლებიც ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, პირადი კონტაქტებით და ზოგ შემთხვევაში ეტიკეტის ნორმების დარღვევით ამ კონტაქტების რისკის ქვეშ დაყენებით, ცდილობდნენ საქმეებში მუდმივად ღრმად ჩაფლული და მოუცლელი ხელისუფლების თუ სხვა გავლენიანი ძალების ყურადღება მიექციათ ამ, ჩვენი ღრმა რწმენით მხსნელი მიდგომისადმი.

წინასწარ დიდ მადლობას ვუხდით ყველა დაინტერესებულ პირს, ვინც ყურადღებით გაეცნობა ნაშრომს და ვთხოვთ მათ შენიშვნები და წინადადებები მოგვაწოდონ სააქციო საზოგადოება „ვანო და კომპანიას“ მისამართზე: 380079, ქ.თბილისი, მელიქიშვილის ქ. №10, ტელ. 920907, 920844, ფაქსი 221965.

იმედია ხელისუფლების მხრიდან წიგნის ორ სათაურზე არ შეჩერდება მსჯელობა.

## შესავალი

დღეს არავინ კამათობს, რომ საქართველოს სჭირდება არსებულ სინამდვილესთან უკეთ მისადაგებული, განხორციელებადი, უფრო კონკრეტული და რეალისტური მექანიზმებით უზრუნველყოფილი, ქვეყნის ეკონომიკის მართვის და დინამიური განვითარების სტრატეგია.

დღის წესრიგშია პოლიტიკური სტაბილურობიდან ეკონომიკური კეთილდღეობისაკენ რაც შეიძლება სწრაფი წინსვლის უზრუნველყოფა. მართლაც, დიდოსტატური ძალისხმევითა და ლამის თავგანწირვით მიღწეულ პოლიტიკურ სტაბილიზაციასა და წინსვლას არ ახლავს სათანადო ეკონომიკური წესრიგი, ეკონომიკური კეთილდღეობა.

თუ პოლიტიკაში მოიძებნა ქვეყნისათვის და მისი მეგობრებისათვის მისაღები ინდივიდუალური სტრატეგია, ასეთს, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით ეკონომიკის შესახებ.

ვერა და ვერ მოხერხდა მაკროეკონომიკური გარემოს რეალური გაჯანსაღება, არ ჩანს ხელშესახები წარმატება, მაინც რა არის ამის მიზეზი?

ერთი რომელიმე მიზეზის (მით უმეტეს რომელიმე მიზეზში რომელიმე ფაქტორის) გამოცალკევება არასწორია, ეკონომიკაში ყველაფერი სისტემურ, ურთიერთ მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია.

მაგალითად: ბიუჯეტის დეფიციტი; უამრავი მწვავე გადასახადი და არაეფექტიანი საგადასახადო პოლიტიკა; საბანკო თუ საინვესტიციო კრიზისი; კორუფცია თუ არასრულყოფილი კონკურენტული გარემო; სამართლებრივი გარანტიების არასაიმედოობა; ქვეყნისათვის სასიკეთო ეკონომიკურ ღონისძიებათა განხორციელების პოლიტიკური ნების სერიოზული დეფიციტი; დაბალი გადახდისუნარიანობა და შესაბამისად წარმოებული და შემოთავაზებული პროდუქციის თუ მომსახურების მდარე ხარისხი; ექსპორტ-იმპორტის არასასურველი ბალანსი; ეროვნული ვალუტის პრობლემები; საფონდო ბაზრის არ არსებობა – ყველაფერი ეს და ბევრი სხვა ძირითადი პრობლემა ეკონომიკური კრიზისის მიზეზიცაა და ამავე დროს შედეგიც.

ჯერ განვიხილოთ მთავარი: „უსუსტი ბიუჯეტი და მძიმე გადასახადები“.

## პრობლემა - „სუსტი ბიუჯეტი და მძიმე გადასახადები“

ეს პრობლემა უძველესია. კონფლიქტი ზოგადსახელმწიფოებრივ და უშუალოდ გამომხდელთა ინტერესებს შორის ყოველთვის არსებობდა.

პრობლემა მწვავედება, როცა მწირი ბიუჯეტის გამო (მით უმეტეს თუ ამ ისედაც მცირე, თანაც ხარჯვით ნაწილში არააუცილებელი პოზიციებით „გამდიდრებული“, ბიუჯეტის ნაწილს ჩინოვნიკები იტაცებენ) სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს გამომხდელთათვის სასურველი, სტაბილური და სამართლიანი გარემოს შექმნას, ხოლო გადასახადის სახით კი გამომხდელის შემოსავლის დიდ ნაწილს ითხოვს. სახელმწიფო მოხელეთა დაბალი ხელფასების ფონზე ყვავის კორუფცია და კრიმინალი.

ასეთ გამწვავებულ გარემოში, ანუ დღეს ჩვენთან არსებულ რეალობაში მეწარმეს გადასახადების სრულად გადახდაც კი არ უმსუბუქებს პრობლემებს. გამომხდელი გადასახადების გადახდით და სახელმწიფო ორგანიზმის გაძლიერებით თავისთვის რაიმე რეალურ სარგებელს ვერ ხედავს. მისთვის გადახდა აზრს კარგავს, გადასახადის დამალვა კი პირიქით, აზრს იძენს. რაც უფრო ნაკლები იხდის, მით უფრო დიდი საგადასახადო განაკვეთების დაწესება ხდება გარდაუვალი მოცემულ მომენტში სახელმწიფოს შესანარჩუნებლად მინიმალურად აუცილებელი ბიუჯეტის შესავსებად. რაც უფრო იზრდება საგადასახადო წნეხი, მით უფრო შეუძლებელი ხდება ლეგალური საქმიანობა ანუ შემოსავლების და მოგების პატიოსნად გამოჩენა და ა.შ. (თავდაღმართში სპირალისებურად), მოვლენათა მსვლელობა სახელმწიფო ხაზინის და გამომხდელთა ინტერესების დაპირისპირების ხასიათს იძენს.

ამ პრობლემის გამომწვევი ძირითადი მიზეზების თუნდაც დროებითი იგნორირება მხოლოდ იმიტომ, რომ მათი დაძლევა მეტად რთულად და შეუძლებლადაც კი მიიჩნევა, საბაზრო გარემოში ავტომატურად შეუძლებელს ხდის თვით ამ და მრავალი სხვა ძირითადი პრობლემის დაძლევას, ანგრევს საბაზრო ეკონომიკის თვითმართვადობის, თვითრეგულირებისა და თვითგანვითარების უმთავრეს პრინციპს.

სამწუხაროდ, ყველა, ვინც ამ პრობლემაზე საუბრობს, თავის პოზიციას აუცილებლად ბარიკადის ერთ-ერთ მხარეს აფიქსირებს.

იგულისხმება ერთი მხარე – გადასახადების გადამხდელის ანუ მეწარმის ინტერესები და მეორე მხარე – გადასახადების მიმღების ანუ სახელმწიფოს, საზინის ინტერესების დაცვა.

გადამხდელსა და გადასახადების მიმღებს შორის ამ საუკუნებრივი დავის პროფესიონალი მონაწილე, როგორც წესი აღიარებს ერთი მხარის ინტერესების საფუძვლიანობას და იგნორირებას უკეთებს მეორე მხარის არგუმენტებს:

1. თუ მხარს უჭერს ბიუჯეტს, ამტკიცებს, რომ მხოლოდ ძლიერ სახელმწიფოში შეიძლება მეწარმეობის განვითარებისათვის აუცილებელი გარემოს შექმნა, მეწარმემ უნდა მოითმინოს. ლოზუნგი: ძლიერი სახელმწიფო მეწარმეობის გაძლიერების საწინდარია. სახელმწიფოებრივად ამ უდაოდ სწორ პოზიციას ფარულ ლობირებას უწევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე იოლი გამდიდრების მოსურნე არაკეთილსინდისიერი ჩინოვნიკური კორპუსი;

2. თუ მხარს უჭერს მეწარმეს, ამტკიცებს, რომ მხოლოდ ძლიერ მეწარმეს შეუძლია ძლიერი სახელმწიფოს შექმნა, სახელმწიფომ უნდა მოითმინოს, რათა გადასახადების ნაწილი მეწარმემ გაძლიერებას მოახმაროს. ლოზუნგი: ძლიერი მეწარმე სახელმწიფოს გაძლიერების საწინდარია. სახელმწიფოებრივად ამ, ასევე უდაოდ სწორ პოზიციას ლობირებას უწევს სახელმწიფო ბიუჯეტში გადაუხდელობის ან ნაკლებად გადახდის ხარჯზე ზედმეტად გამდიდრების მოსურნე საქმიანი წრეები.

ცოტათი შევჩერდეთ გამდიდრებისაკენ სწრაფვის ფენომენზე. გამდიდრება ადამიანის სანუკვარი ოცნებაა.

ამ სურვილის ასრულება ორი გზით ხდება: პირველი – სხვების ხარჯზე, მეორე – სხვებთან ერთად.

თუ განვაზოგადებთ, მაგრამ ამავე დროს მსჯელობის მარტივ ხასიათს შევინარჩუნებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირველი გზა ძირითადად ეყრდნობა ძალას, მეორე – გონებას.

გამდიდრების წყურვილი, ადამიანის ეს ბუნებრივი მოთხოვნილება, რომლის გარეშე საზოგადოების განვითარება წარმოუდგენელია, საბოლოო ჯამში ამა თუ იმ საზოგადოებრივ ურთიერთობებსაც კი განაპირობებს, აყალიბებს და ანგრევს კიდევ. ამ ფენომენთან დაპირისპირებისას უძლიერესი და უჭკვიანესი იმპერატორებიც კი ხშირად სუსტად გამოიყურებოდნენ ხოლმე.

მონათმფლობელურ ან ჩვენთვის კარგად ნაცნობი სახით ჩამოყალიბებულ კომუნისტურ საზოგადოებაში გამდიდრების ბუნებრივი სურვილი ძალისმიერი გზით აღიკვეთებოდა. თუ მონათმფლობელური წყობილებისას კანონი რჩეულთათვის მაინც ითვალისწინებდა გამდიდრების შესაძლებლობას, ჩვენს უახლოეს წარსულში იგი წარჩინებულთა გამდიდრებასაც გამორიცხავდა.

პარტიული ნომენკლატურის ხელში თავს იყრიდა ძალა. მათ და მათთან დაახლოებულ პირებს შეეძლოთ იოლად მიეთვისებინათ დიდი ქონება და სახსრები, ცდუნებასაც ვერ უძლებდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ არ შეეძლოთ ამკარად ემოქმედათ: მითვისებული სახსრები წარმოების განვითარებაში დაეხანდებინათ, ახალი, უფრო სრულყოფილი საწარმოო სიმძლავრეები შეექმნათ, ქვეყნის და თავისდა სასიკეთოდ თუნდაც საკუთარი გზები და ხიდეები აეშენებინათ. თაობებით ჩამოყალიბდა ადამიანის ამოუცნობი, მატყუარა ტიპი, რომელიც ერთს ამბობს, მეორეს ფიქრობს და მესამეს აკეთებს. მეტიც, ინერციით, დღემდე ბევრი მათგანი ძალავს თავის სიმდიდრეს და გამდიდრების სურვილსაც კი.

შედეგად მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ძლიერ ჩამოვრჩით და იძულებული გავხდით განვითარების სხვა, უფრო ბუნებრივ, სხვისგან გაკვალულ, მაგრამ ჩვენი ხალხისათვის ნაკლებად ნაცნობ გზას დავდგომოდით.

ჩვენი, რთულ აზროვნებას მიჩვეული მოსახლეობის უნარის, ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის, ღვთითკურთხეული კლიმატური პირობებისა და ბუნებრივი რესურსების ფონზე სრულიად რეალურია ქვეყნისა და მისი თითოეული მოქალაქის იმ დონემდე გამდიდრება, რომ მომავალში უმუშევრის შემწეობაც კი მინისტრის დღევანდელ ხელფასზე მეტი გახდეს, მაგრამ ამ გზაზე ურთულეს პოლიტიკურ პრობლემებთან ერთად წმინდა ეკონომიკური პრობლემებია დასაძლევნი.

დაუბრუნდეთ განსახილველ საკითხს.

თავისთავად გამდიდრების სურვილში არაფერია დასაძრახნი, ზემოთ, ბიუჯეტთან დაკავშირებით ხსენებულ ორივე შემთხვევაში, სახელმწიფოს დასუსტების ხარჯზე რომ არ ხდებოდეს. ამდენად, მით უფრო საინტერესოა და ორივე „ლობისათვის“ მისაღებია ჩვენს მიერ შემოთავაზებული მიდგომა, თუ მხარეები ბოლომდე გაიზრებენ რაზეა საუბარი. შემოთავაზებული მიდგომით გაცილებით

უფრო უკეთ დაკმაყოფილება მათი თუნდაც ხსენებული, შეფარული ინტერესებიც კი, მაგრამ უკვე არა სახელმწიფოს დასუსტების, არამედ გაძლიერების ფონზე. ეს ისე, ცნობისათვის. ამაზე სხვა დროს, ახლა კი საუბარს გავაგრძელებთ ინტერესების მხოლოდ ოფიციალურად გამოხატულ ნაწილზე და შედეგებზე.

საქმე ისაა, რომ ხსენებულ ორივე პოზიციას გააჩნია არსებობის სერიოზული საფუძვლები. მხოლოდ ერთი ნებისმიერი მხარის პოზიცია რამდენადაც სწორია, იმდენადვე მცდარია. არადა თითოეული მხარე მხოლოდ თავის პოზიციას მიიჩნევს სწორად და მეორე მხარის არგუმენტები მათ აღიზიანებთ. დაპირისპირება მწვავედება.

ასეთი შეცდომა მოხდით მაღალი დონის ექსპერტ-სპეციალისტებსაც. საკმარისია სავალუტო ფონდის ზოგიერთი პოზიციის გახსენება. მათ მკვეთრად (და სწორადაც) გამოხატეს ბიუჯეტისადმი, ზოგად სახელმწიფო ინტერესებისადმი მხარდაჭერა, მაგრამ ფაქტობრივად მოახდინეს მეწარმეთა, სახელმწიფოს სიძლიერის შემქმნელ ძირითად ძალთა მოთხოვნების იგნორირება. გამოიწვიეს მათი უნდობლობა და ნიჰილიზმი ზოგადად საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების და მათთან ერთად ხელისუფლების მიზნებისა და ამოცანებისადმი.

მიუხედავად პოზიციათა მხარდამჭერ ღია და ფარულ ძალთა ბალანსისა, დროდადრო პრობლემა იმდენად მწვავედება, რომ უკვე მართლაც გარდაუვალი ხდება ხოლმე ამა თუ იმ გადასახადის შემცირება და ამავე დროს ბიუჯეტის გაზრდა, რაც ერთმანეთს გამორიცხავს. ყოველ კონკრეტულ მომენტში, სწორედ იმ დღეს უნდა სულის მოთქმა როგორც მეწარმე-გადამხდელს, ასევე სახელმწიფო ხაზინას. იქმნება ჩიხი.

შეგვიძლია დავასკვნათ: ალბათ იმიტომ, რომ კერავის წარმოუდგენია ორივე მხარის, ამ თითქოს ურთიერთგამომრიცხავი მოთხოვნების ერთდროულად დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

არადა საქართველოში რეფორმების განვითარების სწორედ ამ კონკრეტულ ეტაპზეც გვაქვს ისეთი უნიკალური გარემო, რომ შესაძლებელია ორივე მხარის მოთხოვნების ფაქტობრივად ერთდროულად დაკმაყოფილება და ამ შანსის ხელიდან გაშვება ცოლვაა.

კონკრეტული მექანიზმის შესახებ ქვემოთ, მოგვიანებით გვექნება საუბარი.

## რა ხდება ქვეყანაში, რას აკეთებს ხოლმე სახელმწიფო

მიუღეს დღეს-ს ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც ხშირად მოსახლეობის უნდობლობა ხელისუფლებისადმი, საკმაოდ სახიფათო ფარგლებში მერყეობს.

თითქოს მოსახლეობის ერთი ნაწილი უკან იხედება, წარსულ დროს მისტირის.

წარსულისადმი ნოსტალგიის არსებობა მიუთითებს მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების უფრო ღრმად გაანალიზების და სრულყოფის აუცილებლობაზე.

ნოსტალგიის რეალობა დამაფიქრებელია ქვეყნისთვისაც და მსოფლიოს იმ საფინანსო ინსტიტუტებისთვისაც, რომლებმაც დიდი ენერგია და სახსრები ჯერჯერობით ნაკლებად შედეგიანად დახარჯეს, რათა პროცესები ბოლომდე შეუქცევადი გაეხადათ და პოსტსოციალისტური ქვეყნები პოლიტიკურად და ეკონომიკურად ცივილიზებულ, მყარად სტაბილურ ქვეყნებად ექციათ.

დღემდე მთარული ეკვი იმისა, რომ განვითარებულ ქვეყნებს უნდათ ეკონომიკურად დაგვიმორჩილონ, მოკლებულია რეალობის ჯანსაღ გააზრებას და არის ეკონომიკურად მკაცრად ცენტრალიზებულ სახელმწიფოში ჩამოყალიბებული ფსიქოაზროვნების ტიპური ნაყოფი.

უფრო გამოკვეთილი ისაა, რომ ჩვენთან შეუდარებლად მაღალგანვითარებულ დასავლეთში დიდი რაოდენობითაა თავმოყრილი უზარმაზარი დაუსაქმებელი ფინანსური პოტენციალი. მათი უმარტივესი მიზანია ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში შექმნან პოლიტიკურად და ეკონომიკურად იმდენად სტაბილური გარემო, რომ ამ ქვეყნებში სასურველი და შესაძლებელი გახდეს ფართომასშტაბიანი ინვესტიციების განხორციელება.

თუნდაც მხოლოდ საწარმოო სიმძლავრეების გარდაუვალი ტექნიკური გადაიარაღების ინვესტირება ბუმბერაზ მოგებას უქადის როგორც დასავლეთს, ასევე ჩვენს ქვეყანას.

მახლობითი გათვლებითაც კი ჩვენი საწარმოო სიმძლავრეების და ინფრასტრუქტურის დასავლურ სტანდარტებამდე მიყვანას, თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებას, შეძენას და მონტაჟს

მილიარდობით აშშ დოლარის ინვესტიციებიც არ ეყოფა. ამ მასშტაბის ინვესტიციების მოზიდვას მყარი ფინანსური გარანტიები სჭირდება და თუ არა საფონდო ბაზრის ლიკვიდურობის თანდათანობით ამაღლება, ამ რესურსის საკმარისად მყარი კოტირების უზრუნველყოფა, სხვა გზით საჭირო მოცულობის ინვესტიციებს, ჩვენთვის სასურველ ვადებში და პირობებით, ვერაფრით მოვიზიდავთ. ვერ გავხდებით დასავლეთისათვის ეკონომიკურად სასურველი პარტნიორი.

დღეს, ერთის მხრივ, საწარმოებისა და მიწების უმეტესობა გაჩერებული და გამოუყენებელია საწყისი თანხების, საბრუნავი საშუალებების უქონლობის გამო, სესხების დაბალი პროცენტით მიღება კი გართულებულია. ამავე დროს, მეორეს მხრივ, უზარმაზარი, თანაც არა მარტო უცხოური ფინანსური სახსრები მზადაა შეუფერხებლად და დაბალ პროცენტში გაიცეს დაბრუნებადობის მყარი გარანტიის ანუ ლიკვიდური გირაოს ქვეშ.

კაპიტალის სამყაროში გირაოს ფუნქციას პირველ რიგში, როგორც წესი, ასრულებს ლიკვიდური ძირითადი ფონდები, აქციები და მიწები. სამეწარმეო საქმიანობა მიმდინარე და მით უმეტეს სასტარტო ეტაპზე, როგორც წესი, ფინანსირდება აღებული სესხის ხარჯზე, მიღებული მოგებით კი ხდება სესხის მომსახურება. უმდიდრეს კონცერნებშიც კი ცალკეული, ფინანსურად გამხოლოებული ქვედანაყოფი მოიხმარს ქონებით უზრუნველყოფის ქვეშ აღებულ სესხს და თავის პრობლემებს თვითონვე უმკლავდება. იმ შემთხვევაშიც კი, როცა პარტნიორებიდან ერთ-ერთი საერთო საქმეში დებს საჭირო ფინანსურ სახსრებს, მისი დაბრუნებადობის უზრუნველყოფის გარანტიად გვეკლინება სხვა პარტნიორების ლიკვიდური ქონებრივი შენატანები. მოკლედ, ზედმეტი არ იქნება დავაფიქსიროთ, რომ საწარმოო სიმძლავრეების მესაკუთრის პირადი ფინანსური სახსრებიც კი რაიმე საქმეში თითქმის არასოდეს იხარჯება, თუ ამ სახსრების დაბრუნებადობა არ არის აუცილებლად უზრუნველყოფილი ჯერ სახეზე არსებული უეჭველი, ლიკვიდური ქონებრივი გარანტიებით და მხოლოდ შემდეგ მომავალი მოგების იმედით.

დღეს საქართველოში საკმაოდ ფასეული საწარმოო სიმძლავრეებიც არ არის ლიკვიდური. არ არსებობს

ამოქმედებისათვის მინიმალურად საჭირო სესხების დაბრუნებადობის უზრუნველმყოფ დონეზე ლიკვიდური საფონდო ბაზარი. საკუთარი სიმძლავრეების ამოქმედებით დაინტერესებული სესხის ამღები კერძო მეწარმე, საწყის ეტაპზე რადგან სხვა საშუალება არ აქვს, იძულებულია ხოლმე რისკის ქვეშ დააყენოს საკუთრების უფლება ხშირად ერთადერთ საცხოვრებელ ბინაზე და ოჯახისათვის მეტად ძვირფას საგვარეულო ფასეულობაზეც. ასეთი ფასეულობები ერთის მხრივ საქმეში ძნელად ჩასადებია, ხოლო მეორეს მხრივ მეტად მცირედ ფასობს და სესხების უზრუნველსაყოფად, გირაოს ქვეშ მათი თუნდაც მთლიანად გამეტებით, ვერ მოხერხდება წარმოების აღმავლობის გზაზე დაყენებისათვის მინიმალურად საჭირო მოცულობის ინვესტიციების მოზიდვა.

როცა ინვესტიციებზე მოთხოვნა დიდია და მას არ ახლავს შესაბამისი სიდიდის საგარანტიო უზრუნველყოფა, გამოსესხებლისათვის რისკის ფაქტორი მაღალია, საკრედიტო რესურსების მოზიდვა რთულდება და ძვირდება. ასეთ ფონზე კრედიტის გამცემს და სესხის მომხმარებელ მეწარმეს შორის აუცილებლად ჩნდება შუამავალი რგოლი მსხვილი ბანკების ან უკვე ნაკლებად უშუალოდ სახელმწიფოს სახით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში წარმოქმნილი საგარეო დავალიანებები დაუბრუნებელი რჩებოდა, რადგან სესხი სუსტად ანაზღაურებადი ჩინოვნიკების ჩარევით არა მარტო ძვირდებოდა, დანიშნულებითაც ვეღარ მოიხმარებოდა და იფლანგებოდა. შეგვრჩა უზარმაზარი ვალები.

*ქვემოთ შემოვთავაზებთ ქვეყნის საფონდო ბაზრის ლიკვიდურობის ამაღლების საკმაოდ მარტივ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს შუამავლობის გარეშე, უშუალოდ სამეწარმეო კაპიტალის მესაკუთრეთა მიერ, მათივე ქონებრივი პასუხისმგებლობის ქვეშ, საწყისი საბრუნავი სახსრების იოლ და დაბალ პროცენტში მოზიდვას, კაპიტალის მასობრივ გაცოცხლებას, მის ამოქმედებას, ტექნოლოგიების განახლებას, ნედლეულის და გასაღების ბაზრის პრობლემების მოგვარებას, მოკლედ სამეწარმეო აქტივობის ამაღლებას მესაკუთრეთა უკვე არსებული ფართო ფენის ნიჭისა და უნარის შესაბამისად.*

შედგად ამაღლებული სამეწარმეო აქტივობის ფონზე არსებულ მეწარმეთაგან კვლავაც ზოგი გაკოტრდება და ზოგი გამდიდრდება.

მაგრამ უკვე არა იმდენად საწყისი საბრუნავი სახსრების უქონლობის, რამდენადაც საწყის დონეზე ამოქმედებული საწარმოს სწორი ან არასწორი მართვის გამო, ეს კი უკვე ჩვეულებრივი მოვლენაა და არაფერია საგანგაშო. საბოლოოდ საწარმოო სიმძლავრეები სწორი მართვის ქვეშ, უკეთესის ხელში აღმოჩნდება, რაც ქვეყნისთვისაც უკეთესია.

რაც შეეხება ისევ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს და სხვა დამფინანსებლებს, მათ ჩვენთვის კარგი უნდათ. ისედაც ბევრი დრო დაიხარჯა შეუვებელ წინააღმდეგობებზე. მაგალითად გვახსენდება შეურიგებელი პოზიცია, როცა ამტკიცებდნენ, რომ: „ფასების ლიბერალიზაცია, ვაჭრობის ობიექტების პრივატიზაცია ქვეყანას დალუპავს, ველარავინ გასცემს ტალონებზე პურს, მაქარს და კარაქს, ხალხი შიმშილით ამოწყდება.“ დღეს ამ მოწითალო საფრთხობელების აღარავის ეშინია, მაგრამ, მაშინ, უღმერთოდ ბევრი დრო დაიკარგა.

არადა დროის ფაქტორი ხშირად გადამწყვეტია. მაგალითად ავიღოთ ისევ ბიუჯეტი. სწორედ პოსტსოციალისტური რეფორმების განხორციელებისას, სოციალურად თითქოსდა დაცული ორიენტაციის ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში, ქვეყანას სჭირდება განსაკუთრებით მძლავრი ბიუჯეტი, რათა საკმარისად დაფინანსდეს სოციალური პროგრამები. ხელოვნურად, ძველ დონეზე მაინც დაფინანსდეს მანამ, სანამ ამოქმედდება სოციალური პროგრამების თვითდაფინანსების უკეთესი, საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი მექანიზმები. ბიუჯეტის ხელოვნური დაფინანსება სერიოზულ ფინანსურ დანაკარგებს (ემისიას, სესხებს და ა.შ) გულისხმობს და დროში უსაზღვროდ ვერ გაგრძელდება. ხელოვნური დაფინანსების შეწყვეტა ან შემცირება კი დაფინანსების ახალი წყაროთი ჩანაცვლების გარეშე იწვევს ნოსტალგიას და რეფორმატორი ხელისუფლების კურსისადმი უნდობლობას.

წინარად გაუთვლელ, ერთგვარ ციებ-ცხელების და პანიკურ რეჟიმში, სათანადო გააზრებისა, წინასწარი ანალიზის და ექსპერტული განხილვის გარეშე, დროდადრო ხდება სხვა გარემოში მართლაც ეფექტიანი ინსტრუმენტების მთელი არსენალის ერთი მეორეს მიყოლებით მოსინჯვა და გამოყენება. ხშირად ხერხდება ეფექტის მიღება, ხშირად კი მცირე დროში ისე გვეშლება, რომ

შეცდომის გასწორებას და მოსახლეობის ნდობის დაბრუნებას დიდი დრო სჭირდება. კრიზისის დროს მეტად მაცდური და მიმზიდველი, მაგრამ შედეგებით უფრო მეტად საშიშია განსაკუთრებით სახელმწიფო ფინანსური ვალდებულებებით და რესურსებით, ამ მეტად ბასრი და სახიფათო ინსტრუმენტებით თამაში. შედარებით იოლია მართვის ორგანოებში სტრუქტურული ან საკადრო ცვლილებები, მაგრამ არაფერს იძლევა.

როცა გადამხდელებსა და ბიუჯეტს შორის დაპირისპირება მწვავედება, სახელმწიფო ცალკეულ, გამწვავებულ გადასახადებს აუქმებს ან ამცირებს, მაგრამ, რადგან ბიუჯეტს უჭირს, პარალელურად იძულებულია სანაცვლოდ, ხანდახან შეფარულად შემოიღოს ან გაზარდოს სხვა გადასახადი.

ასეთი „პატარა ეშმაკობანი“ პოლიტიკურად აცხრობს ხოლმე პრობლემის სიმწვავეს, მაგრამ, მხოლოდ დროებით. წლების განმავლობაში სწორედ ასეთმა „გადაწყვეტილებებმა“ ერთის მხრივ ზედმეტად დატვირთა ბიუჯეტი, მეორეს მხრივ კი გაართულა საგადასახადო სისტემა, რაც დიდ ნაკლს წარმოადგენს. საგადასახადო სისტემის არასაქმიანი, ზედმეტი სირთულის გამოც აკლდება ბიუჯეტს გარკვეული შემოსავალი.

სახელმწიფო ცდილობს აგრეთვე დააწესოს საიმედო კონტროლი და ძალის გამოყენებით მოახდინოს ზემოქმედება გადამხდელებზე. როგორც წესი, ძალისმიერი მეთოდები ეკონომიკაში სასურველ საბოლოო შედეგს არ იძლევა. მით უმეტეს ამ კონკრეტულ ეტაპზე, უკეთეს შემთხვევაში, მართლა დაუნდობელი ძალისმიერი მეთოდები, დამალული შემოსავლებიდან გამოავლენს მხოლოდ მცირე ნაწილს, მაგრამ ამასთან გამოიწვევს დიდი ნაწილის შესაბამისი წარმოების შეწყვეტას. მოსალოდნელია, რომ მხარეთა შორის დაპირისპირებით გამოწვეულმა დაძაბულობამ აშკარა კონფლიქტის სახე მიიღოს. ეს კიდევ არაფერი, თუ შედეგად საკითხი ერთხელ და სამუდამოდ დარეგულირდება, მაგრამ ამ შემთხვევაში მოხდება პირიქით, არც კონფლიქტის შემდგომი ექსკალაციაიდან ვიქნებით დაზღვეული, რამეთუ, როგორც ზემოთ ვახსენეთ, რომელიმე მხარე ბოლომდე მართალი, ხოლო ძალთა ბალანსი მდგრადი ვერ იქნება.

ადრეც გამოიყენებოდა ძალისმიერი მეთოდები, მაგრამ უკუ-ეფექტის ტოლფასი ეფექტი, როგორც წესი, ვერ მიიღებოდა.

თანაც ამჟამად სახელმწიფო იმდენად სუსტია, ჩრდილოვანი ეკონომიკა იმდენად გასცდა უკიდურეს ნიშნულს, რომ დასაწყისში პრაქტიკულად თითქმის უპერსპექტივოა კერძო უკანონო ინტერესებთან მხოლოდ ძალისმიერი მეთოდებით დაპირისპირება. თუნდაც იმიტომაც, რომ სუსტად ანაზღაურებად სახელმწიფო ჩინოვნიკურ აპარატს ფიზიკური არსებობისათვის, დავალებული საქმის ინტერესების დალატის გარდა, სხვა წყარო არ გააჩნია, მშვიერი ენთუზიაზმი კი თუნდაც გარკვეულწილად მართლაც მიიღწეოდა, ამოცანას საბოლოოდ ვერ გადაწყვეტს. თანაც არ არის საკმარისი და არც სწორი, მხოლოდ მინისტრების და სხვა ხელმძღვანელების, ან რომელიმე, თუნდაც უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო სტრუქტურის, გამორჩეული დაფინანსება. თუ რაიმე რესურსი გვაქვს კიდევ (თანაც არ გვაქვს), პრინციპულად არა სწორია პირობითად ერთი და იგივე მოცულობის ფიზიკურ თუ გონებრივ შრომაში (თუნდაც საბიუჯეტო სექტორში) შემფასებელს მეტი ჰქონდეს, ვიდრე უშუალოდ საქმის გამკეთებელს. ამ ეტაპზე, სანამ გართულებული (დალაგებულ სახელმწიფოებთან შედარებით ბევრად რთული) სახელმწიფო ამოცანების შესრულება სათანადოდ არ დაფინანსდება, გულუბრიყვილო უტოპიაა უკანონო ბრუნვაში არსებული სახსრების კანონიერ სახელმწიფო ინტერესებში მოქცევის მცდელობა. ამ მიმართულების ყოველი ღონისძიება თავზედურად იქნება ბლოკირებული და უკეთეს შემთხვევაში დროში გაჯანჯლებულად, დამახინჯებულად, ნახევარზომით იქნება რეალიზებული. ამის დამადასტურებელი მაგალითები ჩვენს უახლოეს წარსულში და რეალობაში (ბირჟები, მ. შ. სასაქონლო გამოკვეთილად, ტენდერები, ვაუჩერები, დეკლარაციები, აქციზური მარკები, თვით არჩევნებით თუ დანიშვნით კადრების შერჩევა და სხვა) უამრავია.

ვითვალისწინებთ რა არსებულ რეალობას, ამ ეტაპზე სახელმწიფოს უსუსურ მდგომარეობას და სხვადასხვა შინაარსის ეკონომიკურ დარღვევათა საყოველთაო ხასიათს, სტრატეგიულად აუცილებლად მივიჩნევთ პირველ რიგში გამოვავლინოთ და ბიუჯეტის შევსების მიზნით გამოვიყენოთ დღემდე აუთვისებელი რესურსები. ის რესურსები, რომლებიც პროფესიონალურობის ნაკლებობის გამო დღემდე უსარგებლოდ იკარგება და თვით ჩრდილოვან ეკონომიკასაც კი არას რგებს. ჯერ, ბრძოლის საწყის

ეტაპზე, ასეთი რესურსებით ვუზრუნველყოთ სასურველი ეკონომიკური გარემოს სასტარტო დაფინანსება. ვფიქრობთ მხოლოდ ამ გზით მოხერხდება ნელ-ნელა „ჩრდილოვანო ეკონომიკის“ თანდათანობითი ლეგალიზება.

დაუუკვირდეთ იმასაც, რისი გაკეთება ხერხდება. ვხედავთ, რომ უკეთესად ხერხდება მხოლოდ იმ პროექტების განხორციელება, რომლითაც არ ილახება ქვეყნის შიგნით რაიმე სერიოზული ფენის თუნდაც უკანონო პირადი ინტერესები, ანუ უფრო იოლად და უკეთ რეალიზდება ჩრდილოვანი ეკონომიკისთვისაც კი დღეს გამოუყენებელი და ურგები რესურსების გამოვლენისა და ამოქმედების ხარჯზე შექმნილი პროექტები.

ამის დამადასტურებელი საინტერესო მაგალითია სატრანზიტო ფუნქციაზე აგებული, მიზნის სიცხადით და კონკრეტულობით გამორჩეული პროექტები, რომლებიც მიუხედავად ცნობილი, დიდი მეზობლის მეტად სერიოზული წინააღმდეგობისა, მაინც წარმატებით რეალიზდება. ეს პროექტები ქვეყნის შიგნით სერიოზულ პირად, თუნდაც უკანონო ინტერესებს რომ დაპირისპირებოდა, წარმატების გადამწყვეტ გარანტიად ჩვენი ქვეყნისა და მეგობარი ქვეყნების პრეზიდენტების ცნობილი მონდომებაც კი, ალბათ, საკმარისი ვეღარ იქნებოდა. მაგალითად, მათი ძალისხმევა ხომ დიდი ხანია ჩვენში კორუფციის ცალკეული პრობლემების გადაწყვეტასაც არ აკლია, ხელსაც ქვეყნის გარედან ასე სერიოზულად თითქოს არავინ გვიშლის, მაგრამ ქვეყნის შიდა ფაქტორებით განპირობებული, ხელისშემშლელი ის ძალა, რომელიც ასეთი უმაღლესი დონის მონდომებასაც კი ანეიტრალებს, თავისი გავლენიანი შედეგებით სახეზეა.

უპირატესად სწორედ ამ კუთხით, ღრმა გაგებით რეალისტურობის და უფრო ნაკლებად, გეოგრაფიული ან ფინანსური მასშტაბების გამო, უნდა ჩათვალოს ეს პროექტები გენიალურად. ეს პოლიტიკურად ბრწყინვალე, მართლაც საუკუნის პროექტები დიდად ფასეულია ეკონომიკურადაც, იწვევს თანმდევი ინფრასტრუქტურების განვითარებას. რკინიგზის მაგალითიც სახეზეა, მომავალიც წინაა, მაგრამ ეს ყველაფერი მაკროეკონომიკური თვალსაზრისით მაინც მონო ეფექტად ჩაითვლება და ვერ იძლევა ქვეყნის ეკონომიკის დინამიურად და სასურველად სწრაფი, სისტემური განვითარების საკმარის დასაყრდენს.

## რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ

რა ვქნათ? - გონიერება უნდა გვეყოს დავეყრდნოთ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების უდიდეს გამოცდილებას და პროცესების ღრმა ცოდნას. უყოყმანოდ უნდა ვასრულებდეთ ჩვენივე ეკონომიკური გარემოს სრულყოფისაკენ მიმართულ მათ რჩევებს და თუ რაიმე მართლაც გვესმის და შეგვიძლია, ვუზრუნველვყოთ ამ რჩევების შემოთავაზებულზე უკეთ და უფრო სწრაფად შესრულება. როგორ? - სწორედ ესაა მთავარი.

უნდა დავეყრდნოთ დასავლეთში გამოცდილი ანტიკრიზისული პროგრამების ცნობილ სქემებს, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ძირითადი განსხვავებაც და უნდა მოვახერხოთ მიდგომათა სათანადო სრულყოფაც.

უმთავრესი განსხვავება ისაა, რომ დასავლეთის ყველა ცნობილი კრიზისის ღროს ხდებოდა ამა თუ იმ ფაქტორებით დროებით დაზიანებული, მაგრამ მაინც საბაზრო ეკონომიკური გარემოს სრულყოფა, უფრო სწორად აღდგენა, ჩვენთან კი და საერთოდ პოსტსოციალისტურ სივრცეში ამოცანა უფრო რთულია. აქ საქმე გვაქვს ეკონომიკური გარემოს და საზოგადოების, მათ შორის ხელისუფალთა და მეწარმეთა მენტალიტეტის პირდაპირი გაგებით სისტემურ ტრანსფორმაციასთან.

ამ მომენტის სათანადო სიღრმით შეუფასებლობაც არის იმის ერთი მიზეზი, რომ არა მარტო საქართველოში, საერთოდ მთელ პოსტსოციალისტურ სივრცეში არსად აღირიცხება მაკროეკონომიკური გარემოს, სრულყოფილ დონეს მიახლოებული გაჯანსაღება, შესაბამისად კი მართლაც ხელშესახები და სამაგალითო ეკონომიკური წინსვლა

მოქმედებს ფორმულა: რეფორმების დადებითი ეფექტი მტრია იმ ქვეყნებში, სადაც ნაკლებია საბაზრო გარემოსაგან მოწყვეტის პერიოდი და სიღრმე.

ამ ეტაპზე აქცენტია უნდა გადავიტანოთ კონკრეტულ, მაგრამ სისტემურად საფუძვლიანად გააზრებულ ღონისძიებებზე და ვფიქრობთ, თავი უნდა დავანებოთ მაკროეკონომიკური პრობლემის დაძლევისაკენ მიმართულ, სისტემურად გაუაზრებელ (თუნდაც გააზრებულ), მაგრამ რაც უფრო მთავარია, პრაქტიკული

რეალიზაციის კონკრეტულ მექანიზმებს მოკლებულ ეკონომიკურ რომანტიზმს.

ჩვენში გახშირებულმა ასეთმა მოქმედებებმა უკვე მნიშვნელოვნად აზარალა ქვეყანა და ლამის მოახდინა რეფორმის თვით იდეის დისკრედიტაცია.

თუ მაგალითად ჩვენს მიერ არ იქნა შემოთავაზებული უკეთესი კონკრეტული გამოსავალი, თუნდაც გონივრულად ჟღერდეს, ყველაფერი ზემოთთქმული მხოლოდ რიგით ბელეტრისტიკად დარჩებოდა და სხვა არაფერი. უქმად გაიფლანგებოდა ჩვენი და მკითხველის დრო.

პირველი კონკრეტული მოსაზრე ბა, რასაც გვკარნახობს მსჯელობათა ლოგიკური ჯაჭვი, რამაც განაპირობა ნაშრომის წიგნად გამოცემა, ისაა, რომ:

*დღევანდელ გარემოში საბიუჯეტო პრობლემის ერთ-ერთი შესაძლო გადაწყვეტაა, სახელმწიფომ დააინტერესოს მმართველნი. საწყის ეტაპზე თუნდაც მძიმე პროცენტული გადასახადის გადახდაც კი რომორემ სასურველი უნდა გახადოს გადახდელისათვის.*

პრაქტიკულად როგორ შეიძლება ამის მიღწევა, ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

თუ გადამხდელთა დაინტერესება მოხერხდა და მოვლენათა ზემოთხსენებული სპირალისებური უკულმა მსვლელობა როგორმე წაღმა შეტრიალდა, ქვეყანა იწყებს ჩინიდან გამოსვლას.

მხოლოდ შემოსავლების და მოგების თვითლევანიზაციის შედეგად დასაბეგრი არეალის ზრდა მისცემს შესაძლებლობას სახელმწიფოს, რეალურად შეამციროს გადასახადების სიდიდე.

სწორედ ბიუჯეტში შემოსავლების ფაქტიური ზრდა შეიძლება იყოს პირველადი, ხოლო გადასახადების შემცირება მეორადი და არა პირიქით. ისედაც გაძვალტყავებულ ბიუჯეტს აღარავითარი რესურსი არ გააჩნია დაუცადოს: „დღეს გადასახადების შემცირებით ხვალ, სამაგიეროდ ბიუჯეტში შემოსავლების ნამდვილად მოსალოდნელ ზრდას“.

დაინტერესების ქვემოთ მოყვანილი მექანიზმის ამოქმედებით კი, ვფიქრობთ იმდენად იმატებს დასაბეგრი მოცულობები და შემოსავლები ბიუჯეტში, რომ სახელმწიფო შესძლებს შეამციროს გადასახადების პროცენტული სიდიდე. მოხერხდება დღეს სხვა გზით ალბათ მიუღწეველი სასტარტო გარემოს შექმნა.

მცირე გადასახადები, გარდა შინაური გადამხდელების ლეგალიზაციისა, სწორედ და მხოლოდ მძლავრი ბიუჯეტის ფონზე მოიზიდავს გარეშე ინვესტორებსაც. ამ ფონზე შემტკიცებული გადასახადები, თავის მხრივ, გეომეტრიული პროგრესიით გაზრდის ბიუჯეტის შემოსავლებს. ამავე დროს მძლავრი ბიუჯეტი უზრუნველყოფს პოლიტიკურ სტაბილურობას, აამაღლებს მოსახლეობის გადახდის უნარს, გაზრდის მოთხოვნილებას საქონელზე და მომსახურებაზე (გადახდის უნარის ანუ მოთხოვნის ზრდა ვერ შიდა ბაზარზე ხარისხის ზრდის და შემდეგ ექსპორტი-იმპორტის სასურველი დაბალანსების ერთი აუცილებელი წინაპირობაა), მათ შორის სასურველი სახელმწიფო შეკვეთებით. ძლიერი ბიუჯეტი გარდა სოციალური გარანტიების გამყარებისა და ამ ფონზე ეროვნული ვალუტისთვის სასარგებლო, უფრო ლიბერალური ფასთა სტრუქტურის შექმნის შესაძლებლობის გაჩენისა, ფინანსურად უზრუნველყოფს სახელმწიფოს სამართლებრივ გარანტიებს ანუ შექმნის მეწარმეთათვის ამჟამად საოცნებო გარემოს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მარტო თუნდაც იდეალური სასამართლო, პატიოსანი, მაღალკვალიფიციური, ჭეშმარიტად დამოუკიდებელი, სათანადო ხელფასითაც და კანონმდებლობითაც სამართლებრივ გარანტიებს ვერ მოგვცემს. ბიუჯეტი იმდენად ძლიერი უნდა იყოს, რომ თუ სუბიექტს, მათ შორის მეწარმეს სახელმწიფოსაგან ეკუთვნის, ბიუჯეტს უნდა შეეძლოს ნებისმიერი სამართლიანი თანხის, სახელმწიფოს მხრიდან უნებლიეთ ან არასწორი ქმედებით მისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

მოკლედ, სახელმწიფოს ძირითადი მიზანია გადასახადების სისტემის ისე გაჯანსაღება, რომ მცირე პროცენტული განაკვეთებით მოხერხდეს საკპარისად მძლავრი ბიუჯეტის ფორმირება.

აქ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ერთგვარ „კრიტიკულ“ წერტილს, რომელსაც აუცილებლად უნდა გადააჭარბოს ბიუჯეტის სიმძლავრემ. საბიუჯეტო სექტორში დასაქმებულთა ხელფასი უნდა გახდეს რეალისტური შრომის მოტივებისა და სტიმულირების სისტემაში; უბრალოდ რომ ვთქვათ, სახელმწიფო სექტორში დასაქმებული ყოველი ადამიანის (თუ ის მართლა საჭიროა) შრომის ანაზღაურება არ უნდა ჩამორჩებოდეს ანალოგიური შრომის

საფასურად კერძო სექტორში მიღებულ გასამრჯელოს. წინააღმდეგ შემთხვევაში (შერჩევითი უზრუნველყოფის დროსაც კი, თუ თუნდაც მხოლოდ მასწავლებელი ან პოლიციელი დაგვრჩა სათანადო ანაზღაურების გარეშე) ადრე თუ გვიან ყველა ძალისხმევა წყალში ჩაიყრება და კვლავ აღდგება კრიზისული მაკროეკონომიკური გარემო. თუ კი, თუ საკმარისად მძლავრი ბიუჯეტი მიღწეული იქნა და თანაც სათანადოდ მცირე გადასახადებით, შემდეგ სრულიად იოლია შედეგის შენარჩუნება, რადგან გადამხდელი დაინახავს რა გარემო „იყიდა“ მცირე გადასახადის საფასურად. საჭირო შემთხვევაში „მათრახიც“ ანუ ძალისმიერი მეთოდებიც უფრო მორალურად სამართლიანი, ძლიერი და ეფექტიანი იქნება. შესაფერის დროს ამ ინსტრუმენტის გამოყენების საჭიროებას არავინ უარყოფს.

ხსენებული „კრიტიკული“ წერტილი იმდენად მაღალია, რომ სათანადო ბიუჯეტის ფორმირებას თავგანწირული მონღოებითაც ვერ უზრუნველყოფს გადამხდელთა ცალკე აღებული რაიმე. თუნდაც მეტად სერიოზული ერთობლიობა და მით უმეტეს ბიზნესის ცალკეული სახეობები. ამ ამოცანის დასაძლევად უნდა მოხიდულ იქნეს ყველა ტიპის გადამხდელის ძალისხმევა და თანაც ეს უნდა მოხდეს ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში ფასიანი ქაღალდებისა და მიწის ბაზრების რეალურად ამოქმედების ფონზე.

ნათელია, რომ საბაზრო ეკონომიკის თვითგანვითარების კანონებით, სასურველი გარემო, ბოლოსდაბოლოს, მაინც შეიქმნება, მაგრამ უცნობია ქვემოთ შემოთავაზებული მექანიზმის გარეშე, შედარებით მოკლე დროში, კონკრეტულად როგორ მოხერხდება ეს. რა პრაქტიკული ღონისძიება შექმნის ჯანსაღი პოლიტიკური ნების არა მხოლოდ იდეოლოგიურ, არამედ, რაც აუცილებელია, ფინანსურად უზრუნველყოფილ დასაყრდენს ან რა დააჩქარებს არსებული ბიზნესის ლეგალიზებას.

პრაქტიკულად უშედეგოა ამ ბოლო დროს გახშირებული საუბრები უთუოდ სწორ და სასურველ, საყოველთაოდ ცნობილ ისეთ ზოგად დებულებებზე, როგორიცაა მაგალითად: „ბიუჯეტი უნდა ივსებოდეს არაინფლაციური წყაროებით“ და „ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის სტრუქტურა უნდა გაიწმინდოს“ ან პირიქით, არითმეტიკამდე დაყვანილ ისეთ კონკრეტულ კაზზე, როგორიცაა მაგალითად: „ბიუჯეტი მხოლოდ ნავთობისა და სიგარეტის ბიზნესის

ლეგალიზაციით თურმე დამატებით მიიღებს ამდენს და ამდენს, იმიტომ რომ სულ ქვეყანაში საშუალოდ დღეში იხარჯება ამდენი საწვავი, სულ ქვეყანაში საშუალოდ დღეში ეწვეიან ამდენ სიგარეტს, საშუალო ფასი არის ამდენი და ამდენი და შესაბამისად ბიუჯეტში შევა ამდენი“, მხოლოდ თურმე საჭიროა პოლიტიკური ნება.

ამ შემთხვევებში კითხვათა კითხვაა: „როგორ?!“, მართლაც შინა ომების გამოცხადების გარეშე, ცივილიზებული გზით, როგორ მივიღოთ სსენებული შედეგები?

ამ კითხვაზე დღეს პასუხი არა აქვთ. უკეთეს შემთხვევაში ამ „განმანათლებელი“ ფრაზების ავტორები კეთილსინდისიერად ცდებიან, როცა ფიქრობენ, რომ მაქინაციების დეტალების ცოდნა, დამრღვევებთან ან მათ მფარველებთან გავლენიანი კონტაქტები საჭირო შედეგს მოიტანს. ცდებიან, როცა ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის სტრუქტურის მართლაც საჭირო გაწმენდასთან ერთად არ ითვალისწინებენ ამ სტრუქტურების შემცირებასთან დაკავშირებით გამოთავისუფლებული კადრების და მათი ოჯახების შემდგომ ბედ-იღბალს. ხშირად მათ ხომ იმაზე მეტი ხელფასი და „სხვა შემოსავალიც“ კი არა აქვთ, რაც სამართლიან პირობებში დროებით უშუშევარსაც კი ეკუთვნის სახელმწიფოსაგან შემწეობის სახით და რისი მიცემის საშუალება დღეს ჩვენს ბიუჯეტს არ გააჩნია. სწორია ისიც, რომ „ბიუჯეტი უნდა ივსებოდეს არაინფლაციური წყაროებით“, მაგრამ ხომ არ შეიძლება ადამიანს კუთვნილ, ისედაც მცირე ხელფასს უგვიანებდე. დეფიციტური ბიუჯეტის ფონზე ამ ორივე აუცილებელი მოთხოვნის ერთდროულად შესრულება კი შეუძლებელია. არ უნდა გვავიწყვდებოდეს, რომ ყველა თეორია უვარგისია, პრაქტიკულად ერთი ადამიანიც კი თუ შიმშილით მოკლა ან უსამართლოდ გააწამა. ესენი და სხვა უამრავი სწორი მიზანი აუცილებლად საჭიროებს განხორციელების უფრო ღრმად გააზრებულ და თან აუცილებლად კონკრეტულ მექანიზმს.

სანამ პრობლემის გადაწყვეტის ჩვენს მიერ შემოთავაზებულ კონკრეტულ მექანიზმს შევცნებოდეთ, მოდით დროებით გადავლოთ ბიუჯეტზე საუბარი და განვიხილოთ სხვა, ასევე ძირითადი პრობლემა.

ეს ერთი პრობლემაც განვიხილოთ და ჩვენს მიერ შემოთავაზებული მიდგომის წარმოსადგენად საჭირო წრეც შეიკვრება.

## საფონდო ბაზრის პრობლემები

განვიხილოთ საფონდო, მათ შორის ფასიანი ქაღალდების ბაზრის მხოლოდ საბაზისო პრობლემები და ნუ შევეხებით პრობლემათა იმ ფართო სპექტრს, რომელთა დაძლევაზე ქართველი და უცხოელი სპეციალისტები უკვე მუშაობენ. მით უფრო, რომ მიმდინარე საქმიანობას ამ ეტაპზე წმინდად ფორმალური, სამომავლო ხასიათი აქვს და არ იძლევა რაიმე მანსს პრაქტიკულად ოდნავ მაინც გამოცოცხლდეს საფონდო ბაზარი საქართველოში დღეს. სასაცილოა, ფული და ენერჯია იხარჯება იმის სრულყოფაზე რაც ჯერ არ გვაქვს.

უდაოდ აუცილებელია ლიკვიდური საფონდო ბაზრის შექმნა, განვითარება და სრულყოფა. ამის გარეშე ეკონომიკური კრიზისი გარდაუვალია. ფაქტია, თვით ამერიკის შეერთებულ შტატების და ნებისმიერი სხვა მაღალგანვითარებული ქვეყნის ეკონომიკასაც აზანზარებს საფონდო ინდექსების ოდნავი დაცემა.

დღეს საქართველოში მსგავსი ინდექსი ნულოვან დონეზეა, ფასიანი ქაღალდების ბაზარი ფაქტობრივად არ არსებობს და ამ ეტაპზე მის განვითარებაზე საუბარი ნაადრევია. ჯერ აუცილებელია ბაზრის შექმნა, ამ საქმეში ხელშემშლელი ძირეული პრობლემების გამოვლენა და დაძლევა. უამისოდ ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრება ვერ მოწესრიგდება.

გულუბრივყოფილდაც რომ წარმოვიდგინოთ, რომ ყველა სხვა ეკონომიკური პრობლემა დავძლიეთ, რამენაირად, თუნდაც არაბუნებრივად, ხელოვნურად და ჰიპოთეტური მეგობრების დახმარებით ავაკოწიწეთ განვითარებული დასავლური ტიპის ყველა სხვა ეკონომიკური საფუძვლები, მხოლოდ ამ ერთი პრობლემის მოუგვარებლობა იქნება საკმარისი მიღწეული ეკონომიკური სიძლიერის ხუხულასავით დასანგრევად.

როცა ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი შევქმენით, ჩვენ ფაქტიურად დავეთანხმეთ ფასიანი ქაღალდების ბაზრის შექმნას, მაგრამ თავი არ შევიწუხეთ ფიქრით, როგორ დავაჩქაროთ პროცესი. ჩვენთან არსებულ გარემოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეალურად ჩამოყალიბებისათვის რა როგორ შევცვალოთ, რათა დავაჩქაროთ სასურველი საბოლოო შედეგი. რათა დროის მნიშვნელოვან პერიოდში ეს კანონი მკვლარადშობილი არ გვედოს.

რატომ ვაკეთებთ იმას, რაც ჯერ არ გვარგია, მხოლოდ მოძავალში გამოგვადგება და არ ვცდილობთ იმას, რაც დღესვეა აუცილებელი? ამას უბრალო ახსნა აქვს. ადგილი აქვს ელემენტარულ, მარტივ ინტერესთა თანხვედრას. ერთის მხრივ უცხოეთის მხარეს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში „ბარენც ჯგუფის“ წარმომადგენლებს სურთ, იოლად აითვისონ პროექტით გათვალისწინებული თანხა, მეორეს მხრივ კი საქართველოს მხარეს ბევრ ჯგუფს აქვს სურვილი მიიღოს საფონდო ბაზრის განვითარების პროექტში თანამონაწილეობის უფლება და ამისთვის მზად არიან, ტენდერში გამარჯვებისათვის სრულად დაეთანხმონ თამაშის შემოთავაზებულ წესს. მეტიც, ბევრს ჩვენი მხრიდან, რამდენიმე პროფესიონალის გარდა, საფონდო ბაზრის შექმნისთვის უფრო ქმედითი ღონისძიებები ვერც კი წარმოუდგენია. შედეგად მიმდინარეობს ე.წ. „შემოქმედებითი საქმიანობა“, რაც პრაქტიკულად ნიშნავს კანონების, წესებისა და ინსტრუქციების საკმარისად საქმიანი და ღრმა გააზრების გარეშე თარგმნას, სწავლებას, საბირჟო ინსტიტუტების შექმნას და აღჭურვას, მოკლედ, ყველაფერს იმას, რისი ვაკეთებაც სწორი და საჭირო იქნებოდა რომელიმე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნის ხანმოკლე ომის ან სტიქიის შედეგად განდგურებულ რომელიმე პროვინციაში, მაგრამ სრულიად არ პასუხობს საქართველოში საფონდო ბაზრის შექმნის განსხვავებულ მოთხოვნებს.

ჩვენ რომ ასე ბრძალ გვემოქმედა საფონდო ბაზრის ძირითადი რესურსის ჩასახვის სტადიაზე, თუნდაც რუსეთში იმ დროს, 1993 წლის დასაწყისში უკვე რამდენიმე წელი მოქმედი (მაღალკვალიფიციური უცხოელი ექსპერტების დახმარებით შექმნილი) კანონებისა და წესების პირდაპირი თარგმნა და კოპირება რომ გაგვეკეთებინა, შემოქმედებითად რომ არ მივდგომოდით, თავის დროზე არც ვაუჩერი - პირველი ქართული ფასიანი ქაღალდი და დღეს უძრავი, მაგრამ უცხოელი სპეციალისტების მიერვე აღიარებით ასე სამაგალითოდ აღრიცხული ფასიანი ქაღალდების ბაზარი არ გვექნებოდა. მეტიც, არათუ აღრიცხული, საერთოდ არ გვექნებოდა ის ასეული მილიონობით ცალი აქცია, ის ათასზე მეტი სააქციო საზოგადოება, რომელიც დღეს საფონდო ბაზრის ძირითად რესურსს, საფონდო ბაზრის შექმნისათვის აუცილებელ წინაპირობას ქმნის. საერთოდ, არ გვექნებოდა დღეს ამ თემაზე საუბარი.

არ არის საკმარისი სხვაგან არსებული საფონდო ბაზრების თუნდაც საუკეთესოდ მარეგულირებელი კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების სრულად გადმოტანა. თუ არ იქნა სათანადო

მოთხოვნა-მიწოდება, თუ არსებული გარემოს მოუწესრიგებლობის გამო მეორად ბაზარზე არ გვეყოლა ფასიანი ქაღალდების რეალურად არც მყიდველი და არც გამყიდველი, სულაც რომ ხელუხლებლად გადმოვიტანოთ რუსთაველზე ჩიკაგოს ან ლონდონის ბირჟა თავის შენობით, ტექნიკით, პერსონალით და წესებით, ვერ იმუშავებს.

ვერ იმუშავებს იმიტომ, რომ ჩვენთან არ არსებობს მიწოდება უზრუნველყოფილი მოთხოვნით და მოთხოვნა უზრუნველყოფილი მიწოდებით.

სულ სხვაა, როცა წინასწარ შექმნილია ინტენსიური მოთხოვნა-მიწოდების გარემო, თუნდაც სტიქიური ბაზარი. შემდეგ მისი ცივილიზებულ ფორმებში მოქცევა, რა თქმა უნდა, აუცილებელიცაა და იოლიც.

კომუნისტების დროს არა თუ კანონები და ინსტრუქციები არსებობდა, პირიქით, აკრძალულიც კი იყო, მაგრამ მაგალითად, ბინების ყიდვა-გაყიდვის მსურველები მაინც იკრიბებოდნენ. მათ „ალექსანდროვის“ ბაღიდან გაყრიდნენ, ისინი ტბაზე აღიოდნენ, იქედან სხვაგან და ა.შ. ანუ როცა არსებობს მოთხოვნა-მიწოდება, მაშინ გვაქვს ბაზარი. მეტიც, რომც არ მოსწონდეს ხელისუფლებას, ვერ გააუქმებს. სწორედ ასეთი მომენტებია რეფორმის შეუქცევადობის, ფაქტობრივი სტაბილურობის გარანტი.

ჩვენ, რა თქმა უნდა, გვესმის, რომ ბინებიც, მანქანებიც, სხვადასხვა საიუველირიო ნაკეთობანიც არასტანდარტულობის გამო უმეტესად არა საფონდო ბირჟაზე ვაჭრობის, არამედ ინდივიდუალურ გარიგებათა ობიექტებია, მაგრამ ამ საკითხების მცოდნე მიხვდება, რისი თქმა გვინდა ამ მაგალითით.

თუ მაინც უკუღმა ვიმოქმედებთ, ჯერ ბირჟას შევქმნით და მერე ვიფიქრებთ სტიქიური ბაზრისათვისაც კი აუცილებელი წინაპირობის შექმნაზე, რეალური მყიდველებისა და გამყიდველების, საფონდო ბაზრის ამ მთავარი სუბიექტების გაჩენაზე, ბევრს წავაგებთ. წავაგებთ არა მარტო დროში და ფინანსურად, რაც მთავარია, მოვანდენთ თვით ბირჟის იდეის, რეფორმის ამ უმნიშვნელოვანესი ელემენტის დისკრედიტაციასაც.

იმედი, რომ ბირჟის შექმნის შემდეგ თავისთავად გაჩნდება ან დაჩქარდება მოთხოვნა-მიწოდება მცდარია.

როგორც წესი, ჯერ ჩნდება ინტენსიური მოთხოვნა-მიწოდება, შემდეგ ბროკერები, შემდეგ საბროკეროები და შემდეგ ბირჟები. პირიქით არ ხდება. მაქსიმუმი, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს, ესაა

საბროკეროების შექმნას დაასწროს ბირჟის შექმნამ, მაგრამ თვით საფონდო ბაზრის შექმნამდე ბირჟის შექმნა ნამდვილად გაუგებარია.

შევეცადოთ, გავერკვეთ.

- რატომ არ არსებობს საქართველოში საფონდო ბაზარი?

- იმიტომ, რომ ფაქტობრივად არ არსებობს მეორად ბაზარზე წარმოდგენილი საფონდო რესურსების არც მყიდველი და არც გამყიდველი, ბაზრის ეს ორი მთავარი სუბიექტი.

- რა უშლის ხელს მეორად ბაზარზე, ვთქვათ, უკვე კერძო საკუთრებაში არსებული აქციების ყიდვა-გაყიდვას?

- ამას ხელს უშლის სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩენილი უზარმაზარი საპრივატიზებო ქონების (მ.შ. ასეულ მილიონობით ცალი ასეთივე აქციის) გაყიდვის დაკანონებული წესი.

კერძოდ, სახელმწიფო იმდენად დაბალ ფასში ყიდის თავის საკუთრებაში დარჩენილ საპრივატიზაციო ქონებას, რომ შექმნილი ფონი საფუძველს აცლის მეორად ბაზარზე. უკვე კერძო საკუთრებაში არსებული ქონების ყიდვა-გაყიდვის შესაძლებლობასაც კი. აქციების არცერთი კერძო მესაკუთრე არ თვლის დასაშვებად ასე იაფად გაყიდოს თავისი საკუთარი აქციები და ამავე დროს არც ერთი პოტენციური ინვესტორი არ გადაიხდის კერძო ბაზარზე შემოთავაზებულ ფასს, თუ ასეთივე ქონების შეძენა სახელმწიფოსაგან შეუძლია ნულოვან აუქციონებზე, შეუდარებლად ნაკლებ ფასად.

- რატომ იქცევა ასე სახელმწიფო?

- რა თქმა უნდა არა იმიტომ, რომ ხელოვნურად გააღრმავოს ეკონომიკური კრიზისი ან ხელი შეუწყოს დიდი ხანია ტერმინად ქცეულ „პრივატიზაციას“.

აქ საქმე უფრო სერიოზულადაა, რაც ასევე სერიოზულ ანალიზს საჭიროებს.

ასეა არა მარტო საქართველოში, არამედ საერთოდ პოსტ-კომუნისტურ სივრცეში - ყველა იმ ქვეყანაში, სადაც სახელმწიფო ქონების განკერძოებას მასობრივი ხასიათი ენიჭება და თანაც, შეზღუდულ ვადებში. იქმნება ხოლმე სტანდარტული სიტუაცია.

ამ სტანდარტულ სიტუაციას ახასიათებს ის, რომ, როგორც წესი, დიდი სხვაობაა გასაყიდი ქონების ფასსა და მოსახლეობის გადახდის უნარს შორის. ეს ობიექტური კანონზომიერებაა, ქონების მასობრივი განსახელმწიფოებრიობის ფონზე სხვაგვარად არც არის შესაძლებელი.

ასეთ დროს ნებისმიერ ქვეყანაში, განუვითარებელსა თუ განვითარებულში, არსებული ძირითადი საშუალებების ჯამური ღირებულება მრავალჯერ აღემატება ბრუნვაში საერთოდ არსებული ფულის ჯამურ ოდენობას. თანაც ბრუნვაში არსებული ფული ოდენობით შეესაბამება და ძირითადად იხარჯება კიდევ წარმოებულ და შემოთავაზებულ საქონელსა და მომსახურებაზე, კვებაზე, ცხოვრებისეულ სხვა მოთხოვნილებებზე. შედეგად რაღაც მიზეზრული თანხა რჩება დანაზოვის სახით საპრივატიზაციო ქონების შესაძენად, განსაკუთრებით საწარმოო კაპიტალის დაგროვებისადმი პოსტკომუნისტური მოსახლეობის მენტალიტეტის პირობებში.

ჯანსაღი მაკროეკონომიკური თვალსაზრისით მასობრივი პრივატიზაცია უნდა გაგრძელდეს და ბოლოსდაბოლოს უნდა დამთავრდეს. ამასთან უნდა ვიცოდეთ, რომ ქვეყანაში ამ პროცესის მიმდინარეობისას, როცა დიდი მოცულობის სახელმწიფო ქონება შეზღუდულ ვადაში უნდა განკერძოვდეს, შეუძლებელია სახელმწიფომ ქონების შესაბამისი თანხის მიღების იმედი იქონიოს. ნებისმიერ ქვეყანაში და არა მარტო ჩვენთან, როგორც უკვე აღინიშნა, ბრუნვაში არის, უხეშად რომ ვთქვათ, „ცხოვრებისათვის“ საჭირო ფულადი მასა, ანუ აუცილებლად განსაკერძოებელი მილიარდობით ლარის ღირებულების ქონების შესაბამისი თანხა ასეთ დროს ადგილობრივ ბრუნვაში უბრალოდ არ არსებობს. შესაბამისი მოცულობის თანხის ბრუნვაში დამატება კი შეუძლებელია – ეს ინფლაციას გამოიწვევს. თუ რაიმე არ შეიცვალა, სახელმწიფო იძულებული ხდება, საკმაოდ ძვირად ღირებული ქონება ნულოვანი აუქციონებით და კონკურსებით ფაქტობრივად უფასოდ გასცეს კერძო მფლობელების ხელში.

ჩვენ ხშირად ვაკრიტიკებთ პრივატიზაციის პროცესს, ვამბობთ, რომ ქონება კარგად ვერ წარვადგინეთ, ვერ მოვაწონეთ პოტენციურ მყიდველებს ან პროცესს გამჭვირვალება დავაკელით და ამიტომაც იაფად გაყიდეთ. ხშირად ასეთი მსჯელობა საფუძველშივე მცდარი და დილეტანტურია. რაც შეეხება მაღალი გადახდის უნარის მქონე ცალკეულ, გინდ უცხოელ და გინდ შინაურ ინვესტორს, ის სრულიად იოლად აპროგნოზებს ამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისედაც სტანდარტულ სიტუაციას, ელის ფასის ობიექტურად კანონზომიერ დაბალ დონეზე ჩამოყალიბებას და, რა თქმა უნდა, ამ ქონების შესაძენად ბევრად მეტს არ გაიღებს.

ასეთი ვითარება აუფასურებს ფასიანი ქაღალდების ბაზარს. ანულებს არა მარტო სახელმწიფო საკუთრებაში, არამედ მეორად ბაზარზე, უკვე კერძო საკუთრებაში არსებულ საფონდო რესურსს, ასეთი გაუფასურება ავტომატურად იწვევს ქვეყანაში არსებული ყველა სხვა ქონებისადმი ინტერესის შესაბამის დაქვეითებას. ზემოთაც აღინიშნა და კვლავ ვიმეორებთ, აქციების არცერთი კერძო მესაკუთრე არ თვლის დასაშვებად ასე იაფად გაყიდოს თავისი საკუთარი აქციები და ამავე დროს არცერთი პოტენციური ინვესტორი არ გადაიხდის კერძო ბაზარზე შემოთავაზებულ ფასს, თუ ასეთივე ქონება შეუძლია სახელმწიფოსაგან შეიძინოს ნულოვან აუქციონებზე, შეუდარებლად ნაკლებ ფასად.

გაგონილი გეჟნებათ ლეგენდა, რომ სადღაც, აფრიკაში, რომელიღაც ველურ ტომში, უძვირფასესი ბრილიანტი შეიძლება კანფეტის ერთ პრილა ქაღალდში გაიცვალოს და მათ ორ ქაღალდსაც კი არავინ აძლევს (თვით კანფეტს მითუმეტეს). მასობრივი პრივატიზაციის პროცესის ფონზე თითქმის ასევეა ყველა პოსტსოციალისტური ქვეყნის და მათ შორის ჩვენი საქმე. ამის დასტურია ცოტა ხნის წინ ჩვენთან თვით „სოტბის“ მიერ ჩატარებული აუქციონის ცუდი შედეგები, უმაღლესი კლასის ექსპერტებისათვისაც კი მოულოდნელი.

საფონდო, მათ შორის ფასიანი ქაღალდების ბაზარი, ქვეყნის ეკონომიკური წარმატების ეს უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი, მკვდარია. საფონდო ინდექსი ნულის ტოლია. რას ნიშნავს ეს, განვითარებულ ქვეყნებში ჰკვიანმა ბავშვმაც კი იცის.

განვითარებულ საფონდო ბაზრებზე აქციების ამ დონის ტოტალური გაუფასურების მომენტს ჩასაფრებული ელოდება ამ ბაზრების ყველა მონაწილე, რადგან იძლევა სწრაფი გამდიდრების საშუალებას, მაგრამ ხდება ძალიან იშვიათად, შეიძლება მონაწილის ცხოვრებაში ერთხელ და გრძელდება დროის მეტად მცირე მონაკვეთში. როგორც წესი ასეთ სიტუაციას ადვილი აქვს სრულიად მოულოდნელი და ფართომასშტაბიანი ფინანსური კატასტროფით გამოწვეული პანიკის ფონზე. ასეთ დროს სასწრაფოდ ხდება დაბანდებული სახსრების გამოწვევა, გაუფასურებული საფონდო რესურსის მაქსიმალური ოდენობით გამოსყიდვა და ამავედროულად საფონდო ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების ბალანსის თვითაღდგენა.

ღმერთმა ნუ ქნას, ასეთი მომენტი მათთან ჩვენსავით უსაშველოდ გაიწელოს დროში. ეს საკმარისი იქნებოდა ნებისმიერი განვითარებული ქვეყნის ეკონომიკის სრულად დასანგრევად.

ჩვენთან მოწინავე ტექნოლოგიების კრიტერიუმებით თუ ვიმსჯელებთ, მეტად დასანგრევი არც არაფერია, მაგრამ საბაზისო საფონდო რესურსების გაუფასურების გაჭიანურებით ამ სფეროსადმი ფინანსური ინტერესი იმდენად ქვეითდება, რომ არ არსებობს სათანადო გადახდისუნარიანი მოთხოვნილება პროცესის თანხმლებ ისეთ აუცილებელ საქმიანობაზეც კი, როგორცაა აქციონერთა რეესტრების კვალიფიციური წარმოება, კვალიფიციური აუდიტორული თუ დეპოზიტარული მომსახურება. ეს მომენტი თავის მხრივ გამორიცხავს ავტორიტეტულ უცხოურ საფონდო ბირჟებზე ჩვენი აქციებით დაინტერესებას, მსოფლიოს შესაბამის სისტემებში ინტეგრაციას.

თუ ადექვატურად რადიკალური ღონისძიება არ გატარდა, სულ მცირე რამდენიმე წელი, პრივატიზაციის მიმდინარე პროცესის დამთავრებამდე, ქვეყანაში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას და არც ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევის მცდელობებს არავითარი პერსპექტივა არ გააჩნია.

თუ ეკონომიკური განვითარების თავისუფალი ანუ ბუნებრივი, საბაზრო ვარიანტი ვარჩიეთ, არ შეიძლება წარმატების მიღწევა ფასიანი ქაღალდებისა და მიწის ბაზრის გარეშე.

ძნელი არაა დავინახოთ, რომ მიწებიც, ამ ეტაპზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უდიდესი ფასეულობა, იგივე ფაქტორებს ემორჩილება და თუ ეს გააზრებული არ იქნა, თუ ჩვენ არ გვინდა მიწებიც გავაუფასუროთ, ჩვენს მიერ ქვემოთ შემოთავაზებულ მექანიზმში ეს რესურსიც უნდა გამოვიყენოთ. მით უმეტეს, რომ საგანგაშო სიმპტომები უკვე სახეზეა. მთელ მსოფლიოში ჩვენთვის ცნობილი (დასაზუსტებელი) მონაცემებით 1 კვ. მ. მიწა ათეულობით აშშ დოლარი ღირს, ჩვენთან კი ხშირად ყველა პარამეტრით უკეთესი მიწა, თან უზრუნველყოფილი კომუნიკაციებით, რამდენიმე თეთრადაც ვერ იყიდება და შესაბამისად ვერც საგირავნო ფუნქციას ასრულებს - შესაბამისი ინვესტიციები ნულოვან ღონეზეა.

ასეთი რეალობა გამანადგურებელ ზეგავლენას ახდენს ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალზე. დღეს უკვე ბევრი კერძო სუბიექტი ფლობს საკმარისად დიდი საბაზისო ქონებრივი შემადგენლობის საწარმოო კაპიტალს. ხშირად საკუთრებაში აქვთ პოტენციურად მძლავრი წარმოება ათეულობით ჰექტარი მიწით და რამდენიმე ათეული შენობა-ნაგებობებით, უზრუნველყოფილი ჰიდრო და ენერგოკომუნიკაციების ძვირადღირებული ინფრასტრუქტურით, კაპიტალის გასაცოცხლებლად, მის

ასამოქმედებლად, ტექნოლოგიების ნაწილობრივ განსაახლებლად, ნელეულის შესაძენად და ა.შ. სჭირდებათ შედარებით მცირე საწყისი საბრუნავი სახსრები, სულ რამდენიმე ათასი დოლარი, მაგრამ ამ მცირე თანხების მოზიდვასაც ვერ ახერხებენ.

რა ქნას ასეთ დროს გაჩერებული ქარხნის მესაკუთრემ? დაცვის და სხვა მინიმალურ ხარჯებს თავიც რომ დავანებოთ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქონების და მიწის გადასახადი ქარხანას აკოტრებს. არადა, საპრივატიზაციო აქციების ყიდვა ასე იაფად რომ არ შეიძლებოდა და ამიტომ კერძო აქციები რომ არ უფასურდებოდა, მეორადი ემისია, ნაწილის გაყიდვა ან დაგირავება საკმარისი იქნებოდა საჭირო თანხების მოსაზიდად და საწარმოს მცირე მასშტაბში მანაც ასამოქმედებლად.

- რა შეიძლება გაკეთდეს ამ მოჯადოებული წრიდან თავის დასაღწევად?

- ლოგიკურად ჩნდება აუცილებლობა გამოირიცხოს საპრივატიზაციო აქციების ძალიან დაბალ ფასში, ანუ ფაქტობრივად უფასოდ შეძენის საშუალება, თანაც ეს უნდა მოხერხდეს პრივატიზაციის პროცესის შეუფერხებლად.

- როგორ შეიძლება ამის მოხერხება?

- უხეში ფინანსური ზარალისაგან თავის დაცვისათვის ქვეყანას რჩება ალბათ ერთადერთი გამოსავალი. სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესს თავისი ვული უნდა კმონდეს და „ჩვეულებრივ ცხოვრებას“ - თავისი. ამის ერთგვარი დასტურია სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესში და თანაც არა მარტო პოსტსოციალიტურ სივრცეში გამოყენებული „ვაუნერის“ ტიპის საპრივატიზაციო ფასიანი ქაღალდების ნაირსახეობანი. პოსტსაბჭოური მენტალიტეტის პირობებში და თუნდაც სტანდარტულ საბაზრო ურთიერთობებში განსწავლული ეკონომიკური აზროვნებისათვის, სერიოზული სპეციალური ცოდნის გარეშე, გართულებულია საპრივატიზაციო ფასიანი ქაღალდის ეკონომიკური შინაარსის გააზრება და ახსნაც კი, არადა ის ფაქტობრივად ერთადერთი ინსტრუმენტია, რომელსაც ძალუძს ძირეული პოლიტიკური გარდაქმნების პერიოდში ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალი დაიცვას სრული გაუფასურებისაგან.

შევეცდებით, სხვადასხვა გზით და რამდენიმე მარტივი მაგალითით ავხსნათ საპრივატიზაციო ფასიანი ქაღალდის მართლაც საკმაოდ რთული, სპეციფიური, სტანდარტული ეკონომიკური აზროვნებისგან საინტერესოდ განსხვავებული ეკონომიკური შინაარსი.

ჯერ მოდით დავსვათ კითხვა, რა შედეგი მოყვება, თუ ერთ მშვენიერ დღეს ხალხს უაძრავი რაოდენობით და თუნდაც რაიმე კანონზომიერების გარეშე დაურთებენ სპეციალურ ფულს, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს გადახდის საშუალებად მხოლოდ პრივატიზაციის პროცესში, ჩვეულებრივი კანონიერი საგადასხდელი საშუალების ღირის თანაბრად და ამ ფულით სხვა რამის შეძენა შეუძლებელი იყოს?

მთელ ამ ნაშრომში ეს მომენტი ყველაზე ძნელად ასახსნელი და რთული გასაგებია, ამიტომ ცოტა ხნით გვერდზე გადავლოთ წინამდებარე ნაშრომი და დავფიქრდეთ.

უმეტესობა ალბათ იტყვის, რომ: 1. სახელმწიფო იმ მცირე თანხასაც ვერ მიიღებს, რასაც ახლა იღებს პრივატიზაციის პროცესის შედეგად; 2. ქონება უფასოდ ჩაუვარდება ხელში იმ ხალხს, რომელთაც არ ექნებათ ამ საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედების შესაძლებლობა და მხოლოდ მიწისა და ქონების გადასახადები ამ საწარმოებს გააკოტრებს; 3. არაფერს სასიკეთოს ეს ღონისძიება არ მოიტანს.

კი, ბატონო, არაფერია ამ დასკვნაში გასაკვირი. მეტიც, სწორედ ასეთი დასკვნის გაკეთების უფლებას იძლევა სტანდარტული ეკონომიკური განათლება, მაგრამ მოდით, ახლა უფრო სერიოზულად დავფიქრდეთ და ერთად ვიმსჯელოთ.

ეს დასკვნა, შემდეგ ტექსტში „შესაძლო დასკვნად“ მოვიხსენიოთ და მოდით მსჯელობა შესაძლო დასკვნის შესამე პუნქტით დავიწყოთ, სადაც ნათქვამია, რომ „არაფერს სასიკეთოს ეს ღონისძიება არ მოიტანს“.


განვიხილოთ საწინააღმდეგო მოსაზრება: „სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესისათვის სპეციალური ფულის გამოშვება გამოიწვევს ქვეყანაში არსებული საფონდო რესურსების ლიკვიდურობის ამაღლებას“ და გავერკვეთ, რა საფუძველს ეყრდნობა ასეთი ოპტიმიზმი.

პირველ რიგში, უნდა დავინახოთ, რომ ასეთი ღონისძიების შედეგად ჩვეულებრივი ფულით უფრო ნაკლები საპრივატიზებო ქონების შესყიდვა განდება შესაძლებელი, ვიდრე ეს შესაძლებელია სპეციალური ფულის გამოშვებამდე, გამოთავისუფლებული ქონება კი გაიცემა უფასოდ ანუ სპეციალური ფულის სანაცვლოდ.

სწორედ პრივატიზების პროცესისათვის მიზნობრივად გამოშვებულ ფული იძლევა საშუალებას პრივატიზების პროცესისათვის გამოყოფილ იგივე შეზღუდულ ვადაში და იგივე დაბალი გადახდის

უნარის პირობებში მეტი თანხა იქნეს გადახდილი ერთეული საპრივატიზაციო ქონების შესაძენად.

ეს ნათლად სჩანს სქემატურად:



ამ პირველ ანუ არსებულ შემთხვევაში პირობით 100 ლარად შეისყიდება მთელი საპრივატიზებო ქონება



ამ მეორე ანუ სპეციალური ფულის გამოშვების შემთხვევაში პირობით 100 ლარად შეისყიდება სპეციალური ფულის მხოლოდ მცირე, დაშტრიხული ნაწილი და შესაბამისად მთელი საპრივატიზებო ქონების მხოლოდ ნაწილი.

შედეგად, პრივატიზაციის პროცესი, საფონდო ბაზრისადმი უარყოფითი გავლენის ნაწილში, ფაქტობრივად დასრულდება და თან შეუფერხებლად გაგრძელდება ისე, რომ არ დაკარგავს დინამიურობას, კონკურენტულ გარემოს.

თუ წარმოდგენილი სქემა და მტკიცება არასაკმარისად გასაგები და დამაჯერებელია, შევეცდებით, სხვანაირად ავხსნათ იგივე.

მოდით, მოვახდინოთ დღევანდელი რეალობის უტრირება და წარმოვიდგინოთ, რომ ქვეყანაში მხოლოდ ერთი ადამიანია და მას ჯიბეში მხოლოდ 10 ლარი აქვს, რომლითაც რამდენიმე დღე უნდა იცხოვროს, გაერთოს და ა.შ., ამ დროს კი სამ დღეში მსხვილი საწარმო უნდა გაიყიდოს. ვთქვათ „ფეროშენადნობი“. ეს საწარმო, თავისი ძირითადი ქონებრივი შემადგენლობით გინდა ასი მილიონი და გინდაც ასი მილიარდი რომ ღირდეს, მისი საწყისი გასაყიდი ფასი 10 ლარს ვერ გადააჭარბებს, ხოლო აუქციონის შედეგად, მაღალი გადახდის უნარის მქონე გარეშე ინვესტორის ჩარევის შემთხვევაშიც კი გაყიდვის საბოლოო ფასი 11 ან საუკეთესო

შემთხვევაში 20 ლარი იქნება. მთავარ როლს თამაშობს წინასწარ იოლად პროგნოზირებადი 10 ლარიანი ორიენტირი. აი, სწორედ ეს ორიენტირი ეკარგებათ მაღალი გადახდის უნარის მქონე პოტენციურ მყიდველებს, როცა ამ პროცესში ერთვება განსხვავებული ტიპის ფასიანი ქაღალდი. კერძოდ, თუ ამავე უზრუნველ მგალითში წარმოვიდგინოთ, რომ ქვეყნის ამ ერთადერთ მოქალაქეს ამ ქონების შესაძენად მიეცა სპეციალიზებული ფასიანი ქაღალდები (საპრივატიზებო ფული), რეალური მყიდველი იძულებული ხდება ამ ქაღალდების გამოსყიდვა სკაღოს.

დავფიქრდეთ შედეგზე. სუბიექტი, რომელიც ცდილობს თავისუფალი თანხით შეიძინოს რაც შეიძლება მეტი ქონება, შეეცდება ხსენებული პირობითი მოქალაქისაგან შეიძინოს რაც შეიძლება იაფად რაც შეიძლება მეტი სპეციალური საპრივატიზებო ფული. სურვილი, რომ იგივე 11 ან 20 ლარად გამოისყიდოს მთელი სპეციალური ფული და მთლიანად შეიძინოს შესაბამისი ქონება, მყიდველს რაღა თქმა უნდა ექნება, მაგრამ მოქალაქემ იცის რა, რომ ამ ფულით შეუძლია შეისყიდოს ბუმბერაზი ქონება (რომლის მარტო ვთქვათ ალაყაფის კარები ღირს 1000 ლარი), ის, რა თქმა უნდა, არც 20 და არც 100 ლარად ამ სპეციალურ ფულს მთლიანად არ გაყიდის. რადგან მას ამავე დროს სჭირდება ნამდვილი ფულიც, მის ხელში არსებული პირობითად 100 მილიონი საპრივატიზებო ფულიდან ამ ფასად ის ალბათ მხოლოდ მცირე ნაწილს, ვთქვათ, ერთ მილიონს გაყიდის და არც მყიდველი იტყვის უარს ამ ფასად შესაბამისი ქონების ერთი პროცენტი მაინც იყიდოს, რამეთუ ამ მაინც იაფ ფასზე უფრო იაფი შემოთავაზება ფაქტობრივად არც პრივატიზაციის პროცესში და არც კერძო ბაზარზე არ იარსებებს.

ეს ნიშნავს ლიკვიდურობის ამაღლებას. დღეს არსებულ ფასთან შედარებით რამდენჯერმე ძვირად ქონების შეძენა სასურველი და საძებნი გახდება.

*სხვაგან სად, თუ არა სწორედ საფონდო ბირჟაზე გახდება მხოლოდ შესაძლებელი როგორც აქციების, ისე ამ სპეციალური საპრივატიზაციო ფულის, ამ ერთგვარი საფონდო ინდექსის დატვირთვის მატარებელი ფასიანი ქაღალდის, შეწონასწორებული ფასის დადგენა და კოტირება.*

ალბათ, თავი შევაწყინეთ მკითხველს, მაგრამ შემდეგისათვის იმდენად მნიშვნელოვანია ამ მომენტის ყველა მკითხველისათვის გასაგებად ახსნა, რომ კიდევ ერთხელ შევეცდებით, დავასაბუთოთ ისევ იგივე.

რას ვამტკიცებთ ასე მონდომებით?

გვინდა დავასაბუთოთ, რომ ჩვეულებრივი ფულით ისევ ისე იაფად საპრივატიზებო ქონების შექმნა პრაქტიკულად შეუძლებელი გახდება, როგორც ეს შეიძლება დღეს, საპრივატიზებო ფულის გამოშვებამდე.

მაღალი გადახდის უნარის მქონე მყიდველს, დღეს, რაც არ უნდა დიდი სურვილი ჰქონდეს იყიდოს ესა თუ ის საპრივატიზებო ქონება, მან იცის, რომ ნებისმიერი წესით მოწყობილ აუქციონზე ან კონკურსზე მას სერიოზული ფასის გადამხდელი მოწინააღმდეგე არ შეხვდება და კონკრეტულად რა მცირე თანხა დასჭირდება აუქციონის მოსაგებად, ძნელი გასათვლელი არაა.

როცა ბაზრის ამ სექტორში სპეციალური ფულის გამოშვებით ხელოვნურად ვზრდით გადახდის უნარს, ამით ფაქტიურად უფასოდ ვარიგებთ საპრივატიზებო ქონების უდიდეს ნაწილს ანუ ვამცირებთ ნამდვილი ფულით შესასყიდი ქონების რაოდენობას. ნამდვილ ფულთან მიმართებაში საპრივატიზებო ქონების მიწოდება მცირდება. იგივე მოთხოვნის პირობებში მიწოდების შემცირება მოთხოვნა-მიწოდების კანონით ზრდის ბაზარზე მიწოდებული საქონლის ერთეულის (ჩვენ შემთხვევაში აქციის) ფასს. დაახლოებით ისევე, როგორც საკოლმეურნეო ბაზარში ერთი და იგივე რომელიმე ხილი იაფია, როცა ბევრია და ძვირია, როცა ცოტაა.

ამა თუ იმ საპრივატიზებო ქონების ყიდვის დიდი სურვილის და თან მაღალი გადახდის უნარის მქონე ინვესტორი, სპეციალური ფულის გამოშვების შემთხვევაში, ვეღარც კი იოცნებებს ისევ იაფად ჩაიგდოს ხელში საპრივატიზებო ქონება, როგორც ეს უპრობლემოდ შეიძლებოდა საპრივატიზებო ფულის გამოშვებამდე.

თუ ამჯერად მაინც დამაჯერებლად იქნა დასაბუთებული, რომ სპეციალური საპრივატიზებო ფულის შემოღებით საფონდო რესურსის ლიკვიდურობა ნამდვილად ამალღდება, ეხლა დაუფიქრდეთ, რას მოგვცემს ასეთი შედეგი.

მოდით, ისევ წარმოვიდგინოთ ამჟამად გაჩერებული ქარხანა ან ფაბრიკა, ვთქვათ, მეფრინველეობის, რომელსაც უჭირავს 100 ჰექტარი მიწის ნაკვეთი მასზე განლაგებული 30-მდე კაპიტალური ნაგებობით (ასეთი ბევრია). ინტერნეტით რომ მოიძიოთ (ჩვენ ვცადეთ), მსოფლიოში ვერც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში 40 დოლარზე იაფად 1 კვ. მეტრ ასეთ მიწას ვერ ნახავთ. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, მარტო ამდენი ასეთი მიწა, სულ ცოტა, რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი უნდა ღირდეს, მაგრამ ჩვენს დღევანდელ რეალობაში ასეთი ფაბრიკის დაგირავების ქვეშ ვერცერთი ბანკიდან რამდენიმე ათას დოლარსაც კი ვერ ისესხებთ, თუნდაც მაღალი წლიური პროცენტით, რადგან სესხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში ასეთი ფაბრიკა ჩვენს არსებულ ბაზარზე რამდენიმე ათას დოლარზე ძვირად ვერ გაიყიდება. ამ თემაზე ზემოთ ზოგადად გვქონდა საუბარი, ამ კონკრეტულ მაგალითზე კი უფრო ნათლადაა პრობლემა გამოკვეთილი. რა უნდა იღონოს მესაკუთრემ? გაჩერებულ ფაბრიკასაც საკმაო ხარჯი აქვს, ამას ემატება ქონების და მიწის გადასახადი და ამ ფაბრიკის გაკოტრებას, ქონების ვალებში დაკარგვას დიდი დრო არ სჭირდება. ამ ეტაპზე ფაბრიკის მთელი სიმძლავრით ამოქმედება მისთვის ფუჭი ოცნებაა, მაგრამ მცირე ნაწილს მაინც ამუშავებდა, მცირე მოგების მიღებით ზარალს მაინც შეამცირებდა და საკუთრებას არ დაკარგავდა, რამდენიმე ათასი დოლარის სესხება მაინც რომ შეეძლოს. ჩვენ არ გვაქვს ილუზია, რომ შემოთავაზებული ღონიძიების გატარებით ასეთი ფაბრიკის ფასი საფონდო ბაზარზე უცებ მრავალი მილიონი დოლარი გახდება, მაგრამ საფუძვლიანად ვართ დარწმუნებული, რომ საპრივატიზებო ფულის გამოშვების შედეგად საფონდო ბაზარზე კონკრეტულად ამგვარი ქონების ფასი სულ ცოტა 10000 დოლარად მაინც და თანაც მყარად იქნება კოტირებული. ასეთ ფონზე უკვე ნებიმიერი ბანკი გასცემს სესხად, სათანადოდ ლიკვიდური ამ ქონებით უზრუნველყოფის ქვეშ, საწყისად საკმარის, მცირე თანხას.

თუმცა საკმაოდ გრძლად, ვფიქრობთ, დამაჯერებლად დასაბუთდა განსახილველი „შესაძლო დასკვნის“ მესამე პუნქტის საწინააღმდეგო მოსაზრება და გარკვეულწილად პასუხი გაეცა მეორე პუნქტსაც.

მოდით ეხლა ხსენებული მეორე პუნქტის შესახებაც ვისაუბროთ. აქ საუბარი იყო, რომ „ქონება უფასოდ ჩაუვარდებათ ხელში იმ ხალხს, რომელთაც არ ექნებათ ამ საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედების შესაძლებლობა და მხოლოდ მიწისა და ქონების გადასახადები ამ საწარმოებს გააკოტრებს“. დღეს ეს ნამდვილად ასეა და დღეს უფრო მეტადაა სწორედ ამ აზრის გამოთქმის საფუძველი, ვიდრე სპეციალური ფულის შემოღების შემდეგ.

კიდევ ზედმეტად რომ არ გაგვიგრძელებს საუბარი, უბრალოდ იმედს გამოვთქვამთ, რომ ყურადღებიანი მკითხველი ალბათ ზემოთაც ნახავდა საკმარის დასაბუთებას და განსაკუთრებულ დარწმუნებას აღარ საჭიროებს, რომ მხოლოდ და სწორედ საპრივატიზაციო ფულის გამოშვების შემდეგ უჩნდებათ მეწარმეებს დამატებითი საშუალება ამოქმედონ და დღეს ასე ფატალურად გარდაუვალ გაკოტრებას გადაარჩინონ საწარმოები.

მართლაც, როგორც ვხედავთ, მხოლოდ ამ პროცესისთვის სპეციალურად გამოშვებულ ფასიან ქალაქს ძალუძს რიგი პრობლემების მოგვარება. სწორედ ასეთი ეკონომიკური შინაარსის გამო ეს ინსტრუმენტი ანალოგიურ პროცესებში ყველა ქვეყანამ გამოიყენა, ამა თუ იმ ფორმით, და გვერწმუნეთ, ეს ტოტალური გასულელების გამო არ იყო. მხოლოდ ამ გზით ხდება შესაძლებელი მასობრივი პრივატიზაციის ფონზე მოთხოვნა-მიწოდების გაწონასწორება, რაც მთავარია, მთლიანად საფონდო ბაზრის სასტარტო მინიმალურ დონეზე გამოცოცხლება.

უნდა ითქვას ისიც, რომ ქვეყნის ეკონომიკის მმართველმა ძალამ ეს თავის დროზე ვერაფრით გაიგო და ვაუჩერიზაციის პროცესი ძალისძალად, ეკონომიკური შინაარსის გაუცნობიერებლად, როგორც რაღაც მოწითალო შეფერილობის, ისევე თითქოსდა, გამათანაბრებელი, მხოლოდ პოლიტიკური ღონისძიება, მოვალეობის მოხდის მიზნით და რამდენადმე დამახინჯებულად ძლივს ჩაახლავდნენ. თანაც ამ პროგრამის ქვეშ საპრივატიზაციო ქონების ძალიან მცირე ნაწილი იქნა გამეტებული.

დილექტანტურად გადაწყდა, რომ არ ვარგა ამხელა ქონების „უფასოდ“ დარიგება და უკეთესია მათი ფულზე გაყიდვა, ამოგებული ფულით კი ბიუჯეტის შევსება. თითქოს, სწორი და გასაგები სურვილია, მაგრამ საქმე ასე მარტივად არ ყოფილა. საფონდო

ბაზრის გაუფასურებით ბიუჯეტმა საბოლოო ჯამში შეუდარებლად მეტი დაკარგა, ვიდრე მიიღო, რომ აღარაფერი ვთქვათ არასაბიუჯეტო ფინანსურ დანაკარგებზე.

ფაქტიურმა შედეგებმა ნათლად გვიჩვენა ამ ინსტრუმენტის მომგებიანობა: ელემენტარული არითმეტიკული შედარებით, ნათლად დავინახავთ, რომ 150 მლნ. ღირებულების სახელმწიფო ქონების გაუჩერებზე გაყიდვისას ქვეყნის მოსახლეობამ 15 მილიონზე მეტი მიიღო (3 მილიონმა ადამიანმა 5-5 ლარი), მაშინ, როცა შემდეგში, ჯერ, 200 მლნ. ღირებულების ქონების ნულოვან აუქციონზე გაყიდვით, მხოლოდ 5 მლნ. შევიდა ბიუჯეტში, მეორედ კი, კიდევ უფრო მეტი ქონების გაყიდვით, კიდევ უფრო ნაკლები და ეს ტენდენცია გრძელდება. ციფრებით დასტურდება ის, რასაც ზემოთ ვამტკიცებდით. საპრივატიზაციო სახელმწიფო ქონება, მ.შ. აქციები სპეციალური, თუნდაც ნაკლებად სრულყოფილი ინსტრუმენტის გამოყენებაზე უარის თქმის შემდეგ გაუფასურდა.

ეს ფაქტი შეიძლება ჩავთვალოთ „შესაძლო დასკვნის“ პირველ პუნქტის ოპონირებად.

ისმის კითხვა: თუ ეს ნამდვილად ასეა, მაშინ რატომ არ უნდა არც ოფიცოზს და არც საზოგადოებას „ვაუჩერის“ სახელის გაგონებაც კი?

მთავარი აქ თანმდევი პოლიტიკური პრობლემებია. საქმე ისაა, რომ საპრივატიზაციო ფასიანი ქალაქი ჩვენთვის ცნობილი „ვაუჩერის“ სახით თუნდაც ეკონომიკურად უფრო სრულყოფილი და უფრო მომგებიანიც ყოფილიყო, მისი პრაქტიკაში გამოყენებისას, ყურადღება პოლიტიკურ გართულებებზე იყო გასამახვილებელი. აუცილებელი იყო და სრულიად შესაძლებელიც პოლიტიკური გართულება წინასწარ განჭვრეტილი და თავიდან აცილებული ყოფილიყო. აღარ ღირს დაგვიანებული საუბარი, რა როგორ უნდა გაკეთებულიყო და არ გაკეთდა.

ვაუჩერიზაციის (ჩვენს ახლო წარსულში სრულყოფილად ვერ განხორციელებული) პროცესიც კი თუმცა ნულოვან აუქციონებთან შედარებით უფრო სამართლიანი იყო (თითოეულ მოქალაქეს მიეცა უფლება, თავად გადაეწყვიტა იმ ეტაპზე გასაყიდად გამოტანილი სახელმწიფო ქონების თავისი წილი გაეყიდა, თუ თავის საკუთრებაში დაეტოვებინა), როგორც პირიქით ხდება ხოლმე, მან უფრო მეტი პრეტენზია და პოლიტიკური პრობლემა გააჩინა. ერთის მხრივ

თითოეულმა მოქალაქემ თავი მოტყუებულად ჩათვალა, რადგან გასაყიდი ქონებიდან თავისი წილის ფასი, ჩვენს რეალობაში, ვთქვათ, 5 ლარი, მეტად მცირედ მიიჩნია, მეორეს მხრივ კი ეს მცირე ფასი თვითონვე შექმნეს, რადგან მოქალაქეთა დიდი უმეტესობა მათთვის უცხო და გაუგებარ ამ ფასიან ქალაქს პირველსავე შესაძლებლობისას და მეტად მცირე ფასადაც იცილებდა. ბევრს საერთოდ არც აუღია. ამგვარი პოლიტიკური გართულებები „ნულოვანი აუქციონებისას“ არ აღინიშნება, რადგან პროცესში ბაზრის პრინციპების მცოდნე პირები იღებენ ძირითადად მონაწილეობას.

თუ ამ მოკლე ინფორმაციას ჯეროვნად გავიაზრებთ და გავაანალიზებთ, ხოლო მომგებიანობის გამო მაინც გავებდავთ და შევეცდებით ამ ინსტრუმენტის აღდგენას, აუცილებლად და უპირველეს ყოვლისა უნდა გამოვრიცხოთ რაიმე, თუნდაც უსაფუძვლო, პოლიტიკური გართულებები.

მეტიც, თუ არ დავჯერდებით აპრობირებულ უპირატესობას და საპრივატიზაციო ფასიანი ქალაქის ფარულ ეკონომიკურ ეფექტს გარკვეული სახესხვაობით და კიდევ უფრო ეფექტურად გამოვიყენებთ, თუ კვლავ გამოვუშვებთ ე.წ. „საპრივატიზაციო ფულს“, მაგრამ მას როგორც ზემოთ ვახსენეთ – „ყოველგვარი კანონზომიერების გარეშე“ კი არა, პირიქით, „ვაუჩერებზე“ უფრო გონივრულად დავარიგებთ, მოგვეცემა არა მარტო ფასიანი ქალაქების ბაზრის, არამედ საერთოდ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დაჩქარების შესაძლებლობაც. თანაც ყოველგვარი, მ.შ. პოლიტიკური და თუნდაც ტექნიკური გართულების გარეშე.

შედეგად, ქვეყნის ეკონომიკის სათანადო გაჯანსაღების, ქვეყანაში წარმოებული ბიზნესის ყველა ნაირსახეობის მაქსიმალურად შესაძლო ლეგალიზაციის ფონზე, შესაძლებელი გახდება ჩვენთვის სასურველ დონეზე განვითარდეს ფასიანი ქალაქების ბაზარი საქართველოში, მოხდეს მისი ღირსეული და მომგებიანი ინტეგრაცია მსოფლიო საფინანსო სისტემაში, საფუძვლიანად შეეწყოს ხელი საბიუჯეტო და სხვა მნიშვნელოვანი ეკონომიკური და ფინანსური პრობლემების გადაჭრას.

ჩვენთვის მოულოდნელად ამ იდეით უცხოეთში სომხური დიასპორის საფონდო ბაზრის სოლიდური სპეციალისტიც დაინტერესდა. მაშინ, როცა ფინანსური სიძლიერით, კაპიტალის ბაზრის თეორიული და პრაქტიკული ცოდნით განთქმული ეს



## რა კონკრეტული ღონისძიებით შეიძლება საბიუჯეტო პრობლემის დაძლევა

რა საშუალება გააჩნია სახელმწიფოს, რომ სასურველი გახადოს გადაამხდელისათვის გადასახადების გადახდა, მით უმეტეს ჩვენი მწირი სახელმწიფო შესაძლებლობების ფონზე.

ვფიქრობთ, რომ სახელმწიფოს შეუძლია ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური და პოლიტიკური საყრდენის - ბიუჯეტის უკეთ შევსების მიზნით ზემოთხსენებული შინაარსის საპრივატიზაციო ფასიანი ქაღალდით დაინტერესოს გადაამხდელი. მისი საშუალებით, საწყის ეტაპზე, თუნდაც ამჟამად მოქმედი პროცენტული გადასახადის გადახდაც კი შესაძლებელია უპრობლემოდ მისაღები გახდეს ნებისმიერი მეწარმესათვის. ყველა შემთხვევაში გადახდა გაიოლდება.

ალბათ საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა პოლიტიკურად და ტექნიკურად სრულიად გაიოლებული, ხოლო ეკონომიკურად უფრო სრულყოფილი სახით მართლაც აღგვედგინა ე.წ. საპრივატიზაციო ქვითარი - მხოლოდ სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესში გამოყენებადი გადახდის საშუალება, კერძოდ - საპრივატიზაციო ფული, რომელსაც განსხვავებისათვის პირობითად ვუწოდოთ თუნდაც „ზოლიანი ლარი“.

*სახელმწიფო, არსებული გადასახადების შესაბამისად ბიუჯეტში ყოველი ლარის შემომტანზე გასცემს ხუთჯერ მეტ ასეთ ფულს, რომლითაც შესაძლებელი იქნება საპრივატიზაციო ქონების ყიდვა ჩვეულებრივი ლარის თანაბრად.*

დღევანდელი გადასახედიდან გაუფასურებული საპრივატიზებო ქონებით დაინტერესება ბევრი ვერაფერი სტიმულია, მაგრამ სულ სხვა ფასს შეძენს ამ ქონებას სპეციალური ფულის მხოლოდ არსებობაც კი, ანუ ამ მიდგომის მოსალოდნელი ეფექტი გასაგები შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ, თუ გასაგები იყო ყველაფერი ზემოთქმული.

ასეთი გადაწყვეტილება რადიკალურად შეცვლის სიტუაციას.

საპრივატიზაციო ფულით (და არა მარტივად - უშუალოდ საპრივატიზებო ქონებით) დაინტერესება გამოიწვევს დასაბეგრი მოცულობების თვითღვევადიზაციის ზრდას და შესაბამისად უზრუნველყოფს ბიუჯეტში შემოსავლების ზრდასაც, ხოლო მის

სიდიდეს ქვეყნის შესაძლებლობებთან შესაბამისობაში მოიყვანს. თანაც ამ ამოცანას გადაწყვეტს რაიმე მნიშვნელოვანი დანახარჯებისა და გართულებების გარეშე.

საოცრების ტოლფასი სწორედ ისაა, რომ საპრივატიზებო ფული იოლად უზრუნველყოფს დიდი მასშტაბის საბიუჯეტო შემოსავლებისათვის საკმარის სტიმულს, მაშინ, როცა დღეს დარჩენილი მთელი საპრივატიზებო ქონების მოქმედი წესით გაყიდვით, არსებული გაუფასურების ფონზე, მხოლოდ ხელფასებისა და პენსიების დავალიანების დასაფარავად საკმარისი თანხაც კი ვერ იქნება მიღებული.

გადამხდელი აღარ დაინანებს მეტი თანხის შეტანას ბიუჯეტში. ბიუჯეტში პირობითად 100 ლარის გადამხდელი რომც არ აპირებდეს პრივატიზაციის პროცესში მონაწილეობას, სანაცვლოდ მიღებულ 500 სპეციალურ ლარს გაყიდის და მაინც მოგებული დარჩება.

პიპოთეტურად უკიდურესად უარეს შემთხვევაშიც კი, არსებულთან ყველაფრით თანაბარ პირობებში, სულ მინიმუმ მიიღწევა გადამხდელისათვის ფაქტობრივი ხარჯის ანუ გადასახადის შემცირება ბიუჯეტის შემოსავლის წყაროს ადექვატური შემცირების გარეშე. გადასახადების შემცირება რომ იწვევს დასაბეგრი არეალის და ბიუჯეტში შემოსავლების ზრდას, ამას, ალბათ, რაიმე განსაკუთრებული მტკიცება დღეს აღარ უნდა სჭირდებოდეს.

პრივატიზაციის პროცესში მონაწილე სპეციალური ფულის არქონე პოტენციური ინვესტორი იძულებული იქნება ან დახარჯოს იგივე რაოდენობის ლარი, ან იყიდოს საპრივატიზაციო ლარი ჩამოყალიბებული კურსით. ყველა, რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელს არჩევს.

თუ ამ დონისძიების გატარებით და გასაგები უნდობლობის გამო ბიუჯეტში შემოსავლებმა მნიშვნელოვნად არ იმატა, მაშინ „საპრივატიზაციო ლარი“ ბრუნვაში მცირე ოდენობით გამოვა და ამდენად, ჩვეულებრივ ლარზე მისი გაცვლის კურსი მაღალი იქნება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ კარგი გადამხდელიც და სახელმწიფოც მაინც მნიშვნელოვნად მოიგებს. ასეთ დროს, საგადასახადო სამსახურის მხრიდან ყურადღების მიქცევა შეიძლება დასჭირდეს იმ მომენტსაც კი, რომ ცალკეულ გადამხდელთა მხრიდან ბიუჯეტში დადგენილი განაკვეთით განსაზღვრულ თანხაზე მეტი არ იქნეს შეტანილი.

გადამხდელებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ინტერესების საუკუნეობრივი დაპირისპირება მოსალოდნელია უპრეცედენტო და სენსაციური ურთიერთდანმარებით შეიცვალოს დროის სწორედ ამ კრიტიკულ მონაკვეთში.

მეტად ფასეულია ისიც, რომ საკმარისია ღონისძიების დაკანონება, შემდეგ კი იგი სახელმწიფოსაგან რაიმე პატრონაჟის გარეშე იმოქმედებს და მოიტანს ეფექტს, მაგრამ თუ ანგარიშიანადაც და ფაქიზადაც გატარდა, გარდამავალ ეტაპზე ყოველი გადამხდელი ეცდება, თავისი საქმიანობით დაიმსახუროს ბიუჯეტში მეტი თანხის შეტანის უფლება.

შარშან მსჯელობისას მთავრობისგან დაიბადა კითხვა, - ხომ არ შეიძლება სახელმწიფო ქონების პრივატიზების გზით ბიუჯეტში დაგეგმილი 90 მილიონი ლარის შემოსავლებიც დაგკარგოთ, და ეს ქონებაც უფასოდ გაცემული გამოგვივიდეს?

მაშინ ვუპასუხეთ, რომ - ჯერ ერთი, პრივატიზების გზით ამოგებული თანხებით ბიუჯეტის შევსება არასწორია, ასეთი თანხები არ წარმოადგენს ბიუჯეტის შევსების თვისობრივად სწორ წყაროს. ბიუჯეტი ძირითადად წილად გადასახადებით უნდა ივსებოდეს;

პრივატიზაციით შემოსული თანხით ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვა ნარკოტიკულ ეფექტს წააგავს, როცა ტკივილის აღქმა დროებით ქრება, გამომწვევი მიზეზი კი არა, დაავადება პროგრესირდება.

- მეორეც, დაგეგმვა ერთია, მაგრამ მეტად საეჭვოა 90 მილიონი კი არა, 50 მილიონიც კი იქნეს ამოგებული სახელმწიფო ქონების მოქმედი წესით პრივატიზებისას, შემოთავაზებული წინადადების რეალიზაციის შემთხვევაში კი ბიუჯეტში შემოვა მრავალჯერ მეტი და თანაც სწორედ გადასახადების სახით.

ჩვენი პროგნოზი ბიუჯეტში პრაქტიკულად შემოსული თანხის ნაწილში გამართლდა. ესეც პასუხია „შესაძლო დასკვნის“ პირველ პუნქტზე.

კვლავ დარწმუნებული ვართ, ეს ღონისძიება ბიუჯეტს გააძლიერებს და ამასთან პრივატიზაციის მიმდინარე პროცესშიც შეიტანს სასურველ კორექტივებს. ნებისმიერ ტენდერზე უკეთესად მოახდენს მომავალ მესაკუთრეთა შერჩევას.

აღრე გამოითქვა და შეიძლება კვლავ განმეორდეს მოსაზრება, რომ: „წარმოდგენილი მოდელის განხორციელება

პრიატიზაციის პროცესში დისკრიმინაციულ პირობებში ჩააყენებს იმ ადამიანებს, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობას არ ეწევიან“.

ჩვენი პასუხია, რომ საჭიროა ცოტა მაინც დაფიქრდეთ. ვინ არიან ეს ადამიანები?

თუ მათი შემოსავლების წყარო ლეგალურია, სწორედ ამ ლეგალური წყაროების შევსებისათვის ვიბრძვით. დღეს, როცა მოსახლეობის ერთი ნაწილი კუთვნილ შემოსავალს ცოტას ან სულ ვერ იღებს, იმიტომაც, რომ მეორე ნაწილი დაწესებულ გადასახადებს ნაკლებად ან სულ არ იხდის, დისკრიმინაცია და თანაც, არა მარტო პრიატიზაციის პროცესში, მართლაც სახეზეა.

თუ საუბარია ადამიანებზე, რომელთა შემოსავლის წყარო არ მიიჩნევა ქვეყნისთვის და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის საფასურად, მათი “დისკრიმინაცია“ სასურველიც კია. მით უმეტეს, რომ ძირითადად სწორედ ისინი ახდენენ დღეს, როგორც მეწარმე გადასხდელის ისე არამეწარმის დისკრიმინაციას, საერთოდ და მათ შორის პრიატიზაციის პროცესშიც. თანაც სათანადო კონკურენციას მოკლებული, მეტად იაფად ახერხებენ სახელმწიფო ქონების დასაკუთრებას.

ჩვენ არ ვითხოვთ, ბრმად გვენდონ. ასეთ საკითხში ნდობა ნამდვილად დაუშვებელია. ჩვენი ერთადერთი მოთხოვნაა, როგორმე უზრუნველყოფილი იქნეს ამ მოსახრებების სათანადო ღრმა და მიუკერძოებელი ექსპერტიზა და თუ დადებითად შეფასდება, შემდეგ გატარდეს. არ უნდა გახდეს ეს საკითხი ჩვენში მოძრავლებული სუსტად მოაზროვნე, მაგრამ კარგად მოლაპარაკე, თავის საქმეში ვერ შემდგარი და სახელმწიფო საქმეში თვითდამკვიდრებას უსაშველოდ მოწყურებული ვითომ ექსპერტების გადასაწყვეტი.

ამჟამად უკვე იმდენად ახლოს ვართ ფინანსური კატასტროფის უფსკრულთან, რომ ამ ღონისძიების შედარებით სწრაფი ეფექტიც კი, ალბათ, დროული უკვე ვეღარ იქნება, მაგრამ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში, რეფორმების მხარდამჭერი მსოფლიო საფინანსო ინსტიტუტებიდან რეალურია ქვეყნისათვის აუცილებელი ფინანსური დახმარების დაუყოვნებლივი მიღება, პროექტის განხორციელების შემდეგ კი - ყველა ვალის მომსახურება და დაფარვა.

დღემდე ხერხდება ამ მიდგომისადმი წაყრუება. ვფიქრობ იმიტომ, რომ ვერ ხერხდება მისი სიღრმისეული და სისტემური გააზრება. ამავე დროს, ამ იდეის მიმართ იოლად, ოპონირების გარეშე, ცვლიან ფრაზებს: „არ გვინდა იმპროვიზაცია“; „არ გვინდა ახალი ველოსიპედი“ და ა.შ.

ჯერ ერთი, ისევე, როგორც საათი ერთერთი მთავარი კბილანის გარეშე, ქვეყნის ეკონომიკა (საბაზრო პრინციპებით) ვერ იმუშავებს განვითარებული ფასიანი ქაღალდების ბაზრის გარეშე, მაგრამ ეს სულაც არ არის „ახალი ველოსიპედი“, ხოლო წარმოდგენილი, ერთგვარად მართლაც ორიგინალური მიდგომის გარეშე, ჩვენს კონკრეტულ რეალობაში ფასიანი ქაღალდების ბაზრის არა თუ განვითარება, ჩამოყალიბებაც შეუძლებელია.

მეორეც, არის თუ არა ეს მიდგომა „იმპროვიზაცია“ და რამდენად საშიშია იმპროვიზაცია, როგორც ასეთი, საერთოდ. ჯერ ერთი სრულიად უცხო, მოუსინჯავი და სარისკო ამ მიდგომაში არაფერია. ამასთანავე, ვფიქრობ, რომ მხოლოდ და მხოლოდ იმპროვიზაცია შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი წარმატების საწინდარი. არა თუ რომელიმე მეცნიერებაში, ზოგადად, გინდაც ხელოვნებაში და გინდაც სპორტში. საკმარისია კრიმანჭულისა და მიხეილ მესხის გახსენება. ნებისმიერი ამოცანის ამოხსნა, დიდი თუ პატარა მიეწება, სწორედ ჯანსაღ, სიღრმისეულ ცოდნაზე დამყარებული იმპროვიზაციაა და სხვა არაფერი.

ზომაზე მეტად გართულებული მაკროეკონომიკური კრიზისი თუ გვინდა დაეძლიოთ, შემოთავაზებული არატრივიალური გადაწყვეტილებების გაანალიზებაც უნდა შეგვეძლოს. ცოტათი ზომაზე მეტად უნდა მოვინდომოთ, რამდენიმე საათი უნდა დაგვარგოთ, რომ წლები მოვიგოთ.

## რა შედეგს მივიღებთ

წარმოდგენილი მიდგომის დაკანონება:

– უზრუნველყოფს საპრივატიზაციო ქონების შესასყიდი ფასის მნიშვნელოვან ამაღლებას პრივატიზაციის პროცესის შეუფერხებლად;

– მნიშვნელოვნად გაზრდის საფონდო ბაზარზე წარმოდგენილი რესურსების ლიკვიდურობას და უზრუნველყოფს მათ საკმარისად მყარ კოტირებას;

– არსებულ საწარმოო სიმძლავრეებს და მიწებს შესძენს საგირავნო ფუნქციას;

– უზრუნველყოფს საკრედიტო რესურსების გაიაფებას და ხელმისაწვდომობას;

– მნიშვნელოვნად ამაღლებს სამეწარმეო აქტივობას;

– უზრუნველყოფს ბიუჯეტის რამდენჯერმე ზრდას, დღეს გამოუყენებელი რესურსებით დასაბეგრი არეალის თვითლეგალიზაციის წახალისების და გაჩერებული სიმძლავრეების ამოქმედების ხარჯზე, რაიმე განსაკუთრებული და ყოველდღიური სახელმწიფო პატრონაჟის გარეშე;

– ფინანსურად უზრუნველყოფს ხელფასების, პენსიებისა და შემწეობათა ზრდას, მით უმეტეს, მათ შეუფერხებელ გაცემას. ნაცვლად ჩრდილოვანი ეკონომიკისა, საარსებო მინიმუმის ძირითადი წყარო იქნება კანონიერი შემოსავლები;

– გაამარტივებს და შეამსუბუქებს საგადასახადო წნეხს. მოგვცემს მაღალ გადასახადებთან ერთად სხვადასხვა სახის მოსაკრებლების, გადასახადების საერთო რაოდენობის შემცირების შესაძლებლობას. მეწარმეთათვის ნაკლებად მტკივნეულს და სასურველსაც კი გახდის გადასახადების გადახდას;

– უზრუნველყოფს სახელმწიფო შიდა და საგარეო დავალიანებათა შემცირებას;

– ფინანსურად უზრუნველყოფს ჯანდაცვისა და განათლების პროგრამების რამდენჯერმე გაფართოებას. მეცნიერების, კულტურის, სპორტის და სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი სხვა პროგრამების მხარდაჭერას;

– ფინანსურად უზრუნველყოფს მეწარმეობისათვის და მთლიანად საზოგადოებისათვის აუცილებელი, ცივილიზებული სამართლებრივი გარემოს შექმნას. სახელმწიფოსა და კერძო სუბიექტებს შორის ურთიერთპასუხისმგებლობის გათანაბრებას;

– შეამცირებს კრიმინალური თუ სახელმწიფო რეკეტით კანონიერი კერძო ფინანსური და ქონებრივი წარმატების შევიწროვების შესაძლებლობას;

– ფინანსურად უზრუნველყოფს მიმზიდველი სამეწარმეო გარემოს შექმნას, რაც ფართო სპექტრით მოიზიდავს უცხოურ ინვესტიციებს, დააბრუნებს სხვა ქვეყნების ეკონომიკაში ჩვენგანვე განთესილ ფინანსურ რესურსებს;

– შექმნის სახელმწიფო უსაფრთხოების რეალურ საფუძველს;

– ფინანსურად უზრუნველყოფს მინიმალურად აუცილებელი, საიმედო სამხედრო სიძლიერის შექმნას;

– გაამყარებს ეროვნულ ვალუტას;

– შექმნის საფონდო ბაზარს, აამოქმედებს შესაბამის ინფრასტრუქტურებს, უზრუნველყოფს მათ ინტეგრაციას მსოფლიოს შესაბამის სისტემებში;

– ხელს შეუწყობს საკუთარი ინიციატივით და შესაძლებლობებით საკუთარი ინტერესებისათვის მებრძოლი ადამიანის ჩამოყალიბებას;

– რეალურ ეფექტს და საიმედოობის შეგრძნებას მოგვცემს განხორციელების პირველსავე წელს. პირველი პრაქტიკული შედეგების დანახვისთანავე მიიღებს სოციალურად დაუცველი, განსაკუთრებით, საშუალო ფენის, ე. წ. „ოლიგარქიის“ და „ბიუჯეტისმჭამელი“ ჩინოვნიკური კორპუსის, ანუ ფაქტობრივად არსებული საზოგადოების სრული სპექტრის მხარდაჭერას, მისი განხორციელება კი არ ითხოვს რაიმე მნიშვნელოვან დანახარჯებს. რაც შეეხება ტექნიკურ რეალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, აქ ყველაფერი გათვლილია. მაგალითისათვის ეს ღონისძიება შეუდარებლად უფრო იაფი და მარტივი გასატარებელია, ვიდრე, ვთქვათ, აქციზური მარკების შემოღება ან აღრინდელი ვაუჩერიზაციის პროცესი.

რა თქმა უნდა, სრულიად დაუჯერებლად ჟღერს დღეისათვის საოცნებო ამ შედეგების მიღწევა, მაგრამ ეს არ არის უსაფუძვლო ოპტიმიზმი. მიდგომა ეყრდნობა მხოლოდ სათანადოდ გათვლილ, მათ შორის, საყოველთაოდ ცნობილი და აპრობირებული კონკრეტული ეკონომიკური მექანიზმების არცთუ მარტივ, მაგრამ უტყუარ სინთეზს.

XII - 1999.

## სარჩევი

1. წინასიტყვაობა .....	3
2. შესავალი .....	5
3. პრობლემა - „სუსტი ბიუჯეტი და .....	6
მძიმე გადასახადები“ .....	6
4. რა ხდება ქვეყანაში, რას აკეთებს ხოლმე სახელმწიფო .	10
5. რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ .....	17
6. საფონდო ბაზრის პრობლემები .....	22
7. რა კონკრეტული ღონისძიებით შეიძლება საბიუჯეტო პრობლემის დაძლევა .....	39
8. რა შედეგს მივიღებთ .....	44